პროლეტარიელნო ყველა ქვეყანანო, შეერთდით!

კომუნისტი

სკკ(ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი 18 იანვარი 1940 წ.

№ 15 (5716)

ფასი 10 კაპ

დღეს გაზეთში:

ლენინის დღეების წინ („პრავდის“ მოწინავე)

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში — კოლმეურნეობებში ჯიშიან მარცვლეულ კულტურათა თესვის დაგეგმვის შესახებ (1-ლი გვ.)

ლენინგრადის სამხედრო ოლქის შტაბი უარყოფს (1-ლი გვერდი)

ი. დ. პაპანინი — ყინულმჭრელები „ი. სტალინი“ და „სედოვი“ მშობლიური ნაპირებისაკენ მოდიან (1-ლი გვ.)

პრაღის პარტიული კონფერენციის ჭლისთავისათვის (მე-2 გვ.)

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების პოლიტმუშაკთა რესპუბლიკური თათბირი (მე-2 გვ.)

კომკავშირის თბილისის საქალაქო აქტივის კრება (მე-2 გვერდი)

ლ. ძიძოძე — ამხანაგი ი. ბ. სტალინი ქართულ ლაკვიის ხელოვნებაში (მე-3 გვ.)

დიდი რევოლუციონერი-დემოკრატი (მე-3 გვ.)

უცხოეთში:

დანიის მუშები ფინელ თეთრგვარდიელების დახმარების წინააღმდეგ (მე-4 გვ.)

იაპონიის ახალი პრემიერის გამოსვლა (მე-4 გვ.)

სიძუოკაში წანძარმა 6.500 სახლი გაანადგურა (მე-4 გვ.).

ლენინის დღეების წინ

ახლოვდება მშრომელი კაცობრიობის დიდი ბელადის — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გარდაცვალების XVI წლისთავი. მთელს ჩვენს ქვეყანაში ფართო მზადება ამ დღისათვის მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრების, მსოფლიოს გარდამქმნელი მოძღვრების პოპულარიზაციისა და პროპაგანდის ნიშნით მიმდინარეობს.

ჩვენს ქვეყანაში საუცხოოდ ხორციელდება ეს დიადი მოძღვრება. ქვეყანაში, რომელშაც დაამხო მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალაუფლება, ქვეყანაში, რომელსაც განაგებენ თვით მშრომელნი ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, მთავრდება უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა, დაწყებულია სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლა.

კომუნიზმი! მასზე საუკუნეთა განმავლობაში ოცნებობდნენ კაცობრიობის საუკეთესო ადამიანები. ხედავდნენ რა თავიანთ გარშემო მშრომელი მასების უსასტიკეს ჩაგვრას, სიღატაკეს და ტანჯვას, რასაც კაპიტალისტური წყობილება იწვევს, კეთილშობილი მოაზრენი წარსულში ოცნებობდნენ ისეთ სოციალურ წყობილებაზე, სადაც არ იქნებოდა ადამიანის მიერ ადამიანის დამონება, არ იქნებოდა კერძო საკუთრება, სადაც შრომით მოპოვებული მთელი სიკეთე თვით ხალხის — ამ სიკეთის შემოქმედის და პატრონის კუთვნილება იქნებოდა. ამ წყობილებისაკენ მგზნებარედ, აღფრთოვანებით მოუწოდებდნენ დიდი სოციალისტ-უტოპისტები — სენ-სიმონი, ფურიე, ოუენი. მაგრამ ამ „გიჟებმა“, რომლებიც „კაცობრიობას ნეტარ სიზმარს“ ჰგვრიდნენ, ვერ შესძლეს ეჩვენებინათ კომუნიზმისაკენ მიმავალი სწორი გზა. მარქსმა და ენგელსმა პირველად დაამუშავეს მეცნიერული სოციალიზმის საფუძვლები, გააჭარწყლეს უტოპიური ფანტაზიები, თითქოს შესაძლებელი იყოს სოციალიზმის აშენება კაპიტალისტების ძალა-უფლების დროს, „დაიყოლიო“ რა ისინი ნებაყოფლობით აიღონ ხელი თავიანთ პრივილეგიებზე. მარქსმა დაამტკიცა, რომ სოციალიზმი — უმაღლესი წყობილება კაპიტალისტურთან შედარებით, წარმოადგენს კაპიტალიზმის მთელი განვითარების შედეგს, მაგრამ იგი დამყარდება არა მშვიდობიანი გზით, არა თვითდინებით, არამედ მოპოვებულ იქნება ბურჟუაზიის წინააღმდეგ სასტიკ რევოლუციურ ბრძოლებში. პროლეტარიატი — კლასი, რომლის ხვედრია მოახლინოს ექსპლოატაციისა და კაპიტალიზმის მესაფლავედ იქცეს, განახორციელებს თავის ძალაუფლებას, პროლეტარიატის დიქტატურას, რათა აშენოს საზოგადოება უმემამულეებოდ და უკაპიტალისტებოდ, უექსპლოატაციო საზოგადოება, ე. ი. კომუნისტური საზოგადოება.

ლენინი შემდგომ ანვითარებს მარქსის მოძღვრებას ახალ ეპოქაში — ეპოქაში, როდესაც კაპიტალიზმი გადაიზარდა თავის უმაღლეს და უკანასკნელ სტადიაში — იმპერიალიზმში, — ლპობადი, მომაკვდავი კაპიტალიზმის, პროლეტარული რევოლუციის წინადღის სტადიაში. ენინმა უდიდესი, ძვირფასი განძი შეიტანა მარქსიზმის საგანძურში. იგი ამუშავებს მოძღვრებას პარტიის, როგორც მუშათა კლასის ავანგარდის, როგორც ისეთი რევოლუციური შტაბის როლისა და ბუნების შესახებ, რომელიც მასებს მიუძღვება კაპიტალიზმის სიმაგრეებზე იერიშის მისატანად, აწყობს გამარჯვებას, ხელმძღვანელობს პროლეტარული სახელმწიფოს მუშაობის ყველა დარგს. მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ლენინი აშენებდა პარტიას, აწყვლიდა და აწრთობდა მას მუშათა კლასის მტრებისა და გამცემლების წინააღმდეგ ბრძოლებში. ლენინი კომუნისტური ინტერნაციონალის დამაარსებელია. ლენინ ამუშავებს მოძღვრებას პროლეტარული დიქტატურის შესახებ, მუშათა და გლეხთა კავშირის, როგორც ამ დიქტატურის ურყევი საფუძვლის შესახებ, ჩაგრული ერების, დამოკიდებული და კოლონიური ქვეყნების, როგორც პროლეტარული რევოლუციის რეზერვების შესახებ. ლენინი ამუშავებს მოძღვრებას სტრატეგიისა და ტაქტიკის, როგორც პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ხელმძღვანელობის მეცნიერების შესახებ. ლენინი ამუშავებს მოძღვრებას საბჭოთა ხელისუფლების, როგორც ახალი, კაცობრიობის ისტორიაში არნახული სახელმწიფოს — პროლეტარული სახელმწიფოს ფორმის შესახებ. ლენინი ჰქმნის თეორიას კაპიტალიზმის უთანაბრო განვითარებისა იმპერიალისტურ ეპოქაში და აქედან, როგორც დასკვნას, — ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის მოძღვრებას, თეორიას, რომელიც პრაქტიკულად ძლევამოსილად განხორციელებულია საბჭოთა კავშირში.

მარქსის უმდიდრესი იდეური მემკვიდრეობა ლენინის ხელში მკვდარი დოგმა როდი იყო. ლენინი ანგითარებს, ამდიდრებს მარქსის დიალექტიკას, შესანიშნავად იყენებს მას პრაქტიკაში, როგორც სახელმძღვანელოს რევოლუციური მოქმედებისათვის.

ლენინმა, თავის საუკეთესო თანამებრძოლ სტალინთან ერთად, ჩვენი სახელმწიფო ხომალდი გამოატარა საბჭოების ნორჩი, ჯერ კიდევ გაუმაგრებელი რესპუბლიკის ცხოვრების საშიშარ პერიოდში, იმ პერიოდში, როდესაც მას მოაწყვნენ ძალები კაპიტალისტური ინტერვენციისა, რომელიც იმუქრებოდა საბჭოთა ხელისუფლების გასრესას და ქვეყნის მორწყვას მუშათა და გლეხთა სისხლით. ლენინი არის შემქმნელი ჩვენი სახელოვანი მუშურ-გლეხური წითელი არმიისა, რომელიც დაუვიწყარი დიდებით არის მოსილი სამოქალაქო ომში, ლენინი არის კაპიტალისტური ინტერვენციისა და შინაური კონტრრევოლუციის გაერთიანებულ ძალებზე საბჭოთა რესპუბლიკის გამარჯვების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი.

ორი სამყაროს, ორი ეპოქის — კაპიტალიზმისა და სოციალიზმის — მიჯნაზე ისტორიაში აღმართულია უკვდავი ლენინის გიგანტური ფიგურა. მასში განსახიერებულია ყოველივე დიადი, გმირული, რაც მუშათა კლასში არის: უშიშარი გონება, რომელიც გაბედულად და შტკიცედ მიდის უფალი გზებით, რკინისებური, უდრეკი ნებისყოფა, რომელიც სძლევს ყველა დაბრკოლებას, მძულვარება ძონობისა და ჩაგვრისადმი, რევოლუციური მგზნებარება, უსაზღვრო რწმენა მასების შემოქმედებისადმი, უდიდესი ორგანიზატორული გენია.

კომუნისტური საზოგადოების ყველა მშენებელი იმას უნდა ესწრაფოდეს, რომ გახდეს ლენინური ტიპის პოლიტიკური მოღვაწე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იდგე შენი ამოცანების სიმაღლეზე, არასოდეს არ დაეშვა პოლიტიკური ობივატელების დონემდე, ნათელი და გარკვეული გქონდეს შენი აზრები და შენი მოქმედება, უშიშარი იყო ბრძოლაში და უსმობელი იყო ხალხის მტრების მიმართ, თავისუფალი იყო ყოველგვარი პანიკისაგან, ბრძენი და აუჩქარებელი იყო რთული საკითხების გადაწყვეტის დროს, მართალი და პატიოსანი იყო, ვინაიდან ასეთი იყო ლენინი, გიყვარდეს შენი ხალხი, როგორც უყვარდა იგი ლენინს.

როცა ლენინი გარდაიცვალა, ამხანაგმა სტალინმა დასდო დიადი და წმინდათაწმინდა ფიცი — დაგვეცვა და გაგვეტარებინა ცხოვრებაში ლენინის ანდერძი. სტალინმა — ჩვენმა ბელადმა და მასწავლებელმა — მთელი პარტიის სახელით აღთქმა დასდო მაღლა დაგვეჭირა და წმინდად დაგვეცვა პარტიის წევრის დიადი სახელწოდება; თვალის ჩინივით გაეფრთხილებოდით პარტიის ერთიანობას; დაგვეცვა და განგვმტკიცებინა პროლეტარიატის დიქტატურა; მთელი ძალღონით განგვმტკიცებინა მუშათა და გლეხთა კავშირი; განგვმტკიცებინა და გაგვეფართოებინა რესპუბლიკების კავშირი — ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა; განგვმტკიცებინა ჩვენი არმია და წითელი ფლოტი; განგვმტკიცებინა და გაგვეფართოებინა მთელი მსოფლიოს მშრომელთა კავშირი — კომუნისტური ინტერნაციონალი.

ეს ფიცი წმინდად არის შესრულებული. მიუხედავად იმისა, რომ პარტიის მტრები ყოველნაირად ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ მისი რკინისებური ერთიანობისათვის, პარტიამ სტალინის ხელმძღვანელობით გაანადგურა, მოსპო ყველა მტერნი, წმინდად დაიცვა თავისი ერთიანობა. რკინისებური დისციპლინა და მონოლიტობა. მუშათა კლასის დიქტატურა სტალინური კონსტიტუციის ურყევ საფუძვლად რჩება. სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე დამთავრდა საბჭოთა ხელისუფლების ყველა ორგანოს გარდაქმნა. ჩვენ ყოველნაირად განვამტკიცებთ საბჭოთა სახელმწიფოს, სანამ კაპიტალისტური გარემოცვა არსებობს. კავშირი მუშებისა და გლეხებისა, რომელთა ბუნება მნიშვნელოვნად შეიცვალა, გადაიქცა საბჭოთა ხალხის ურყევ მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობად, რაც ბრწყინვალედ იქნა დემონსტრირებული მშრომელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებში. ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა სამუდამოდ ურღვევი გახდა, სამუდამოდ გაჭრა ყოფილი უნდობლობა და შუღლი საბჭოთა კავშირში მოსახლე ხალხთა შორის.

წითელი არმია და წითელი ფლოტი გადაიქცნენ მრისხანე ძლევამოსილ ძალად, რომელსაც უნარი შესწევს გაანადგუროს ყოველი მტერი, ვინც კი შეეცდება თავს დაესხას წმინდათა-წმინდა საბჭოთა საზღვრებს. წითელი არმია თავის დიადი განმათავისუფლებელ მისიას ფინეთის ველებზე ისევე ასრულებს, როგორც მან შეასრულა ეს ამოცანა პოლონელი პანების მიერ წინათ დაჩაგრული დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ველებზე.

დღითიდღე, ყოველსაათობით იზრდება და მტკიცდება ჩვენი ძლიერი სოციალისტური სამშობლო. სტალინურმა ხუთწლედებმა გარდაჰქმნეს ძველი რუსეთი. ფოლადის გამოდნობა და ქვანახშირის ამოღება ჩვენში ოთხჯერ და კიდევ უფრო მეტად გაიზარდა, ვიდრე მემამულურ-კაპიტალისტურ რუსეთში იყო. მრეწველობის პროდუქციას ჩვენ ათჯერ უფრო მეტს ვამზადებთ. ჩვენს ქვეყანაში არის ყველა პირობა, ყველა საჭირო რესურსი იმისათვის, რომ ავაშენოთ კომუნისტური საზოგადოება. ხოლო რაც მთავარია — ჩვენ გვყავს ადამიანები, პარტიის მიერ გამოზრდილი შესანიშნავი ადამიანები, რომელნიც, ლენინ-სტალინის იდეებით შეიარაღებულნი, კიდევ უფრო გაადიდებენ სოციალიზმის ქვეყნის ძლიერებას, შეჰქმნიან მატერიალურ და კულტურულ სიმდიდრეთა ისეთ სიუხვეს, როგორიც კაპიტალისტურ ქვეყნებში არ ნახულა.

ჩვენს თვალწინ სრულდება ლენინის მეორე წინაგანცხადებაც. კაპიტალიზმს აღარ ძალუძს მშვიდობიანი გზით განავითაროს თავისი საწარმოო ძალები, იგი დაუძლეველ წინააღმდეგობებში გაიხლართა. ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტები გამწარებით ეძებენ გამოსავალს ომში. სრულიად ძირმომპალი კაპიტალიზმი დასალუპავად არის განწირული. შორს არ არის ის დღე, როცა პროლეტარიატი — კაპიტალიზმის შესაფლავე — გამართავს თავის მძლავრ მხარ-ბეჭს და სამუდამოდ დაამსხვრევს მის შემბოჭველ ბორკილებს.

მთებსა, ხეობებსა, ჭანჭრობებსა, მოღრიალე კაპიტალისტურ მხეცთა შორის მტკიცედ და უძლეველად მიემართება ჩვენი ქვეყანა გზისაჩვენებელი ვარსკვლავისაკენ, რომელსაც კომუნიზმი ეწოდება. მუშების, კოლმეურნეების, საბჭოთა ინტელიგენციის მრავალმილიონიანი მასები შეუსვენებლივ შრომობენ კომუნიზმისათვის, მესამე ხუთწლიანი ძალისა და ენერგიის ბრძოლაში.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

კოლმეურნეობებში ჯიშიან მარცვლეულ კულტურათა თესვის დაგეგმვის შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნეს, რომ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში დიდი მიღწევებია ჯიშიან კულტურათა ნათესების გაფართოებისა და ჯიშიანი თესლის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში.

მაგრამ, ჯიშიან მარცვლეულ კულტურათა თესვის დაგეგმვის არსებული წესი ჰბოჭავს კოლმეურნეობათა ინიციატივას როგორც სასელექციო, ისე ადგილობრივი უკეთესი მაღალმოსავლიანი ჯიშების თავისუფალი არჩევის საქმეში, აგრეთვე ეწინააღმდეგება კოლმეურნეობებში მარცვლეულ კულტურათა თესვის დაგეგმვის დადგენილ წესს.

რათა მაღალმოსავლიანი ჯიშების სწორი არჩევისა და ჯიშების მიხედვით მარცვლეულ კულტურათა თესვის დაგეგმვისათვის კოლმეურნეობათა პასუხისმგებლობის გაძლიერების გზით ამაღლებულ იქნას კოლმეურნეთა ფართო მასების ინიციატივა და მოსავლიანობის შემდგომი გადიდების საქმით დაინტერესება, — სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს:

1. გაუქმდეს ჯიშიან მარცვლეულ კულტურათა თესვის დაგეგმვის არსებული წესი, რომელიც ითვალისწინებს ჯიშების მიხედვით სათესი ფართობის სავალდებულო დაყვანას კოლმეურნეობებამდე.

2. მიენიჭოს ჯიშების არჩევის უფლება თვით კოლმეურნეობებს თავიანთი შეხედულებისამებრ ჯიშთა დარაიონების იმ ფარგლებში, რომლებიც მიღებულია მოცემული ზონისათვის (ძირითადი და დასაშვები ჯიშები, როგორც სასელექციო, ისე საუკეთესო ადგილობრივი).

3. დაევალოთ კოლმეურნეობათა გამგეობებს კოლმეურნეთა საერთო კრებებზე განსახილველად და დასამტკიცებლად დააყენონ მათ მიერ დამუშავებული გეგმები ჯიშების მიხედვით მარცვლეულ კულტურათა თესვისა.

4. დაწესდეს, რომ ჯიშების მიხედვით მარცვლეულ კულტურათა თესვის გეგმები, კოლმეურნეთა საერთო კრებების მიერ მიღებული, შემდგომი წესით უნდა მტკიცდებოდეს რაიონული აღმასკომების მიერ. ამასთან რაიაღმასკომებს მხოლოდ იმ შემთხვევებში შეუძლიათ შეიტანონ ცვლილებები კოლმეურნეობათა გეგმებში, თუ კოლმეურნეობის მიერ წარმოდგენილ გეგმაში შეტანილია ისეთი ჯიშები, რომლებიც მოცემული ზონისათვის არ არიან განკუთვნილნი.

რაიაღმასკომების მიერ ჯიშების მიხედვით კოლმეურნეობებში მარცვლეული კულტურების თესვის გეგმების დამტკიცების დროს სავალდებულოდ ჩაითვალოს მეთესლეობის რაიონული მეურნეობისა და მოცუზული რაიონის კოლმეურნეობათათვის მომსახურების გამწევი ჯიშთგამომცდელი ნაკვეთის აგრონომთა მონაწილეობა.

5. სათესლე ნაკვეთებისათვის მაღალხარისხოვანი ჯიშიანი თესლით კოლმეურნეობათა მომარაგება შემდეგშიც ხდებოდეს მეთესლეობის რაიონულ მეურნეობათა საშუალებით, კოლმეურნეობათა წარდგენილი მოთხოვნებისა და ჯიშთგანახლების გეგმის შესაბამისად.

6. დაევალოს სსრ კავშირის მიწსახკომის ჯიშიან კულტურათა სამმართველოს, რესპუბლიკათა მიწსახკომებს და სამხარეო (საოლქო) სამიწათმოქმედო განყოფილებებს ჯიშიანი თესლის სახელწიფო ფონდის ქსელის საშუალებით მისცენ კოლმეურნეობებს ჯიშიანი თესლი სათესლე ნაკვეთების ჯიშთგანახლებისათვის, კოლმეურნეობათა მიერ შეტანილ მოთხოვნათა შესაბამისად.

7. კოლმეურნეობებში ახალი პერსპექტიული ჯიშების თესვა ხდებოდეს კოლმეურნეობათა თანხმობით, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას კოლმეურნეთა ფართო მონაწილეობა ჯიშის საწარმოო შეფასებაში და გაძლიერდეს სასელექციო სადგურების და ჯიშთგამომცდელი ნაკვეთების პასუხისმგებლობა იმ ჯიშების სწორი სამეურნეო შეფასებისათვის, რომელთა შემოღებაც ხდება.

8. დაევალოთ რაიონულ აღმასკომებს ჯიშების მიხედვით მარცვლეულ კულტურათა თესვის იმ გეგმების დამტკიცება, რომლებიც მიღებულია კოლმეურნეობათა მიერ, დაამთავრონ სსრ კავშირის სამხრეთ რაიონებში არაუგვიანეს 1940 წლის 15 თებერვლისა და დანარჩენ რაიონებში არაუგვიანეს 1940 წლის 25 თებერვლისა, ხოლო შემდგომ წლებში შესაბამისად—არაუგვიანეს 15 იანვრისა და 25 იანვრისა.

9. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებულ სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალურ სამმართველოს უზრუნველყოს 1940 წელს სსრ კავშირის სამხრეთ რაიონებში 25 თებერვლისათვის და სსრ კავშირის დანარჩენ რაიონებში 5 მარტისათვის (ხოლო შემდგომ წლებში— შესაბამისად 25 იანვრისა და 5 თებერვლისათვის) მარცვლეულ კულტურათა თესვის გეგმის აღრიცხვა და ჯიშების მიხედვით ამ გეგმის ფაქტიური შესრულება.

10. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის მიწსახკომს გაითვალისწინოს ელიტის მიხედვით სახელმწიფო სასელექციო სადგურების თესვის გეგმებში სადაზღვევო ფონდი 30 პროცენტის რაოდენობით და მეთესლეობის რაიონულ მეურნეობებში I და II რეპროდუქციის მიხედვით დარაიონებული ჯიშების თესლის 25 პროცენტის რაოდენობით.

11. თუ კოლმეურნეობაში მოიპოვება ისეთი ჯიშების ხორბალი, რომლებიც მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან პურის ცხობის თვისებებით, პურის ჩაბარების გეგმა შესრულდეს იმ ჯიშებით, რომლებსაც პურის ცხობის უკეთესი თვისებები აქვთ.

12. პარტიულმა, საბჭოთა და სამეწარმოთმოქმედო ორგანოებმა ყოველნაირი დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს ჯიშიანი კულტურების თესვის დაგეგმვის მოწყობაში, ამასთან თვითეული კოლმეურნეობისათვის დაწესონ ვადები კოლმეურნეთა საერთო კრებების მიერ ჯიშების მიხედვით მარცვლეულ კულტურათა თესვის გეგმების შედგენისა და დამტკიცებისა.

ვ. ი. ლენინი

მხატვ. ი. ვეფხვაძის ნახატი

ლენინის დღეებისათვის მზადება

ამიერ-კავკასიის ბერიას სახელობის რკინიგზაზე

ამიერ - კავკასიის ბერიას სახელობის რკინიგზაზე ენერგიულად ემზადებიან ლენინის დღეებისათვის. კლუბებსა და დიდ საწარმოებში გაიმართება ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექციები და მოხსენებანი. საწარმოთა საამქროებში ყოველდღე აწყობა საუბრები რევოლუციის გენიოსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. გზის განყოფილებათა პოლიტგანყოფილებებში მოწყობილია ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ნაშრომთა გამოფენები. ამიერ - კავკასიის ბერიას სახელობის რკინიგზის თბილისის განყოფილების პარტკაბინეტის შენობაში მოწყობილია ორი დიდი ფოტოგამოფენა: „ამხანაგ ლენინისა და ამხანაგ სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთავარი ეტაპები“ და „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა“. თბილისის ჭალაში ლენინის დღეებში გაიმართება 7 ლექცია შემდეგ თემებზე: „16 წელი ულენინოდ, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით, ლენინის გზით“. „დიდი სტალინის ფიცი საბჭოების II სრულიად-საკავშირო ყრილობაზე“ და სხვ.

საწარმოთა საამქროებში 100 აგიტატორი ყოველდღე აწყობს საუბრებს. 45 აგიტატორი აწყობს საუბრებს ყოფილ საარჩევნო უბნებში.

ბელაღის სამშობლოში

(ბორი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

დიდი ლენინის გარდაცვალების 16 წლისთავის აღსანიშნავად ემზადებიან გორის რაიონის მშრომელები.

პარტიის რაიკომის მითითებით სოფლის პირველადმა პარტორგანიზაციებმა მომზსენებლად გამოჰყვეს მასწავლებლები. სოფლის აგიტატორები კოლმეურნეებს შორის ატარებენ საუბრებს ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

საუბრები ეწყობა აგრეთვე ქალაქ გორის წარმოება-დაწესებულებებში. რაიკომთან არსებულ პარტკაბინეტში მოეწყო ლენინის გარდაცვალების 16 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურის გამოფენა.

ს. ჟურაშვილი

ქუთაისში

ქუთაისი, 17 იანვარი (საქდესი). ქუთაისის ფაბრიკა-ქარხნებში, წარმოება - დაწესებულებებსა და სკოლებში გაცხოველებით ემზადებიან ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დღეებისათვის. აგიტატორები უკვე შეუდგნენ საუბრების ჩატარებას თემაზე— „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა“.

წულუკიძის სახელობის პარტგანათლების სახლში და ცენტრალურ საჯარო ბიბლიოთეკაში ეწყობა ლენინისადმი მიძღვნილი ლიტერატურისა და ფოტო-დოკუმენტების გამოფენა. კინოთეატრებში ნაჩვენები იქნება კინოსურათები, რომლებშიც ასახულია ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა.

პარტიის ქალაქკომის ბიურომ გამოჰყო ამხანაგები, რომლებიც ფაბრიკა-ქარხნებში, წარმოება - დაწესებულებებსა და სკოლებში ჩაატარებენ მოხსენებებს თემაზე—„16 წელი ულენინოდ — ლენინის გზით“.

ყინულმჭრელები „ი. სტალინი“ და „სედოვი“ მშობლიური ნაპირებისაკენ მოდიან

ყინულმჭრელი „ი. სტალინი“, 16 იანვარი (საკდესის რადიო). სამი დღიდამე ჩვენი ყინულმჭრელი გვერდში ედგა გმირულ ყინულმჭრელ „სედოვს“. ყველა ამ დღეების განმავლობაში შეუპოვარ მუშაობას ვაწარმოებდით უკან დაბრუნების მოსამზადებლად. ორივე გემის ეკიპაჟებმა იკისრეს „სედოვი“ მშობლიურ ნავსადგურში ჩაიყვანონ ისე, რომ იგი სანიმუშო წესიერში იქნეს. მეზღვაურები და პოლარელები თავდადებით მუშაობენ, რათა ეს ძნელი რეისი ფრიადზე ჩაატარონ, პირნათლად შეასრულონ სტალინის დავალების მეორე ნაწილი, სავსებით გამართლონ პარტიისა და მთავრობის მაღალი ნდობა.

„სედოვის“ ბუნკერობა და სასმელი წყლით მისი მომარაგება მოკლე ვადაში დამთავრდა. ძირითადი ყურადღება დაეთმო იმის შემოწმებას, თუ რამდენად არის მზად ნადრეიფალი გემის მექანიზმები უკან დაბრუნების რეისისათვის. დღემის ყველა დღეების განმავლობაში საფლაგმანო ყინულმჭრელის მექანიკოსები განუწყვეტლივ მუშაობდნენ ისე, რომ ყინულმჭრელ „სედოვის“ სამანქანო განყოფილებიდან არ ამოსულან. სედოველებთან ერთად მათ ყველა აგრეგატი შეამოწმეს და მანქანები მოამზადეს სამუშაოდ. ბოლოს, გუშინ, ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში პირველად კვლავ ამუშავდა „სედოვის“ მანქანა.

ჩემ მიერ დანიშნულმა სპეციალურმა კომისიამ საფლაგმანო ყინულმჭრელის კაპიტნის ამხ. ბელოუსოვის, კაპიტან ამხ. ბადიგინის, ყინულმჭრელ „ი. სტალინის“ მთავარი მექანიკოსის ამხ. ნეუპაკოევის, ყინულმჭრელ „სედოვის“ უფროსი მექანიკოსის ამხ. ტროფიმოვის შემადგენლობით შეამოწმა „სედოვის“ კორპუსი, მექანიზმები და მოწყობილობა და სცნო, რომ გემი დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. მეორე კომისიამ, რომელიც იქმნების ამხ. სმოლენსკის, სერგეევისა და სობოლევსკისაგან შესდგება, გულმოდგინედ შეამოწმა ყველა სედოველის ჯანმრთელობის მდგომარეობა. როგორც მოსალოდნელი იყო, მამაცი პოლარელები აღმოჩნდნენ ფიზიკურად მაგარი, გამძლე ადამიანები, რომელთაც კარგი ჯანმრთელობა და სიცოცხლის დიდი ხალისი აქვთ.

დღეს, დილით, ჩვენ დავამთავრეთ უკანასკნელი სამუშაო გემების მოსამზადებლად უკან დასაბრუნებლად. ჯერ კიდევ წინა დღით, საღამოს, „სედოვის“ ხრახნი და საქე გავართავისუფლეთ მათზე მიკრული ყინულისაგან.

დღეს საფლაგმანო ყინულმჭრელმა კიდეები ჩამოუმტვრია ყინულის ბუდეს, რომელშიც ჩაყინული იყო „სედოვის“ კორპუსი. 16 საათზე გამოსათხოვარი საყვირი მისცა და ყინულმჭრელი „ი. სტალინი“ დაიძრა მშობლიური ნაპირებისაკენ. მას მოკლე ბუქსირით მოჰყვება გმირული „სედოვი“. კვლავ ვაპობთ ძალმე, შემჭიდროებულ ყინულებს, მძლავრი პროექტორების შემწეობით ვიკვლევთ გზას.

სამშობლოს ნაპირებისაკენ წამოსვლის წინ „სიდოვის“ მთელი ეკიპაჟი კაპიტან ამხ. ბადიგინის მეთაურობით ყინულზე ჩამოვიდა. მათ მოჰქონდათ წითელი ბაირაღი, რომელსაც დიდი ასოებით აწერია **სტალინი.** უფრო ქვევით აღნიშნულია „სედოვის“ უკანასკნელი დგომის ადგილის კოორდინატები და თარიღი, რომელიც აღნიშნავს სახელოვანი საბჭოთა გემის უმაგალითო დრეიფის დასაწყისსა და დასასრულს.

სედოველები გაჩერდნენ ყინულის მაღალ გორასთან. კაპიტანმა ამხ. ბადიგინმა ბაირაღის ტარი თოვლში ჩაარჭო. წითელი ბაირაღი აფრიალდა ყინვიან ქარში. ამხ. ბადიგინმა წარმოსთქვა მოკლე სიტყვა. მან ილაპარაკა სამშობლოზე, პარტიაზე, დიდ სტალინზე, რომლის სახელით აღფრთოვანებულნი საბჭოთა მეზღვაურები გადალახავენ ყოველგვარ სიძნელეებს, იმარჯვებენ სტიქიონზე, იმორჩილებენ ბუნებას. შემდეგ გაისმა საზეიმო სალუტი, და სედოველები გემზე დაბრუნდნენ.

ყინულმჭრელები „ი. სტალინი“ და „სედოვი“ წამოვიდნენ სამხრეთისაკენ. ხოლო ყინულოვან უდაბნოში ამაყად ფრიალებს ბაირაღი, რომელზედაც გამოსახულია დიდი სტალინის სახელი, იგი აღნიშნავს იმ ადგილს სადაც ჩვენი მშვენიერი სამშობლოს საკეთილდღეოდ ცხოვრობდა და იბრძოდა 15 სახელოვანი ვაჟკაცი ისე, რომ გულიდან არ განუშორებია საყვარელი ბელადის სახე. ეს ბაირაღი ისევე, როგორც მოდრეიფე სადგურის „ჩრდილოეთის პოლუსის“ გადმოყვანის ადგილას დატოვებული ბაირაღი, სიმბოლოა ჩვენი სიყვარულის, ერთგულებისა პარტიისადმი, სამშობლოსადმი, ამხანაგ სტალინისადმი, რომლის ხელმძღვანელობითაც ბოლშევიკები ყოველგვარ სიძნელეებს სძლევენ.

ახლა მივემართებით ყინულის ნაწიბურისაკენ, სადაც შევხვდებიო გემ „სტალინგრადს“. იგი მოგვამარაგებს ქვანახშირითა და წყლით. ბუნკერობის შემდეგ ორივე ყინულმჭრელი ბარენცბურგში შევა. იქ ღია ზღვაში შორეული მგზავრობის წინ მყვინთავები შეამოწმებენ „სედოვის“ კორპუსის წყალქვეშა ნაწილს.

ი. დ. პაპანინი

მოსკოვი მოელის სედოველთა დაბრუნებას

მოსკოვი, 16 იანვარი (**ტელეგრაფით ჩვენი საკ. კორ.**). მოსკოვი მოუთმინლად მოელის სედოველთა დაბრუნებას. კლუბებში, თეატრებში, კულტურის სახლებში ტარდება ლექციები, ეწყობა ლეგენდარული გემის ეკიპაჟისადმი მიძღვნილი გამოფენები. მშენებელთა კლუბში შესდგა საღამო, რომელზედაც ამხ. კრენკელმა უამბო დამსწრეთ „სედოვის“ გმირული დრეიფის შესახებ. სტალინის სახელობის ავტოქარხნის კულტურის სასახლეში ტარდება მოხსენებები, მოწყობილია გამოფენა ფოტოსურათებისა და რუკებისა, რომლებიც ასახავენ ბოლშევიკების მიერ არქტიკის დაპყრობას.

სედოველთა ნათესავები ჩამოვიდნენ მოსკოვში. ამ დღეებში ისინი მურმანსკში გაეგზავრებიან. მესამე მექანიკოსის ალფეროვის ცოლმა ეკატერინე ივგენის-ასულმა თქვენს კორესპონდენტს განუცხადა: „მე რადიოთი გავიგზავნე ჩემს ქმარს მილოცვა და ვუსურვე მშვიდობით დაბრუნება. მღელვარებით ვადევნებ თვალს გაზეთებში შემდგომ ცნობებს“.

ყველა სედოველთა ოჯახები მხურვალე მადლობას უძღვნიან ამხანაგ სტალინს მზრუნველობისათვის.

ლენინგრადის სამხედრო ოლქის შტაბი უარყოფს

1. ინგლისური გაზეთი „დეილი ჰერალდი“ იტყობინება, რომ ჩვენი ავიაციის მიერ „სერიოზულად არის დაზარალებული ჰელსინკის ერთერთი მუშათა კვარტალი“. ეს ცნობა არ შეეფერება სინამდვილეს. წითელი არმიის ავიაციას არ დაუშენია და არც უშენს ყუმბარებს ქალ. ჰელსინკს და მით უმეტეს ამ ქალაქის მუშათა კვარტალებს.

2. გერმანული სააგენტო ტრანსოკეანი იტყობინება, თითქოს მე-44 საბჭოთა დივიზიის მეთაურის ვინოგ

მებრძოლი ბოლშევიკური გაზეთი

(„ტიფლისკი პროლეტარის“ პირველი ნომრის გამოსვლის 30 წლისთავის გამო)

30 წლის წინათ, 1910 წლის 18 (5) იანვარს გამოვიდა თბილისის კომიტეტის ორგანო „ტიფლისკი პროლეტარი“, რომლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო ამხანაგი სტალინი.



ამხანაგი სტალინი ის-ის იყო გამოიქცა 1909 წელს გადასახლებიდან და ხელი მოჰკიდა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების შემდგომ განმტკიცებასა და გაძლიერებას. ბაქოდან ამხანაგი სტალინი გადმოდის თბილისში სამუშაოდ 1909 წლის ოქტომბერში, აქ იგი ამზადებს პარტიულ კონფერენციას და აწყობს „ტიფლისკი პროლეტარის“ გამოცემას.

გაზეთის პირველ ნომერშივე დაიბეჭდა სტალინის მოწინავე წერილი „მკითხველისადმი“. „ვის უნდა მივმართოთ ჩვენ, როგორ მკითხველს?“ — კითხულობს ამხანაგი სტალინი. რასაკვირველია, არა იმათ, ვინც დაიღალა ბრძოლებით და დასვენება ესაჭიროება; არც იმათ, ვინც დაჭარგა პარტიისადმი რწმენა და ყველაზე მაღლა აყენებს თავის „პირად მეს“. არც იმათ, ვისაც თავისი მდგომარეობით საერთო არა აქვს რა პროლეტარიატთან. ესენი არ წარმოადგენენ ბოლშევიკური გაზეთის მკითხველებს. „ჩვენ მივმართავთ პროლეტარებს და სახელდობრ იმათ, — სწერს ამხანაგი სტალინი,—რომლებსაც სურთ იბრძოლონ, რომლებსაც სწამთ პარტიის ძალა, მისი მომავალი, რომლებსაც ცოდნა სწყურიათ და ეძებენ დღევანდელი მდგომარეობიდან გამოსავალ გზებს, მტრული ძალების განადგურებისათვის, სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის“.

ამხანაგი სტალინი თავის სტატიაში გენიალურად წინასწარმეტყველებს მუშათა მოძრაობის აღმავლობის მოახლოვებას და მოუწოდებს პარტიას განამტკიცოს არალეგალური პარტიული ორგანიზაციები.

ამხანაგი სტალინი ზემოაღნიშნულ მოწინავე სტატიაში სწერდა: „რუსეთის დიდი რევოლუცია არ მომკვდარა — არა, იგი ცოცხლობს!— მან მხოლოდ უკან დაიჩია და ძალებს აგროვებს მომავალი მძლავრი გამოსვლებისათვის“.

ამხანაგი სტალინი გაზეთ „ტიფლისკი პროლეტარის“ ფურცლებზე ფარდას ხდის მენშევიკ-ლიკვიდატორების დამარღვეველ შუშაობას და სასტიკად ამთარახებს მათ.

გაზეთი მოაგონებს მუშებსა და გლეხებს 1905 წლის სახელოვან ტრადიციებს და მოუწოდებს მზად შეხვდნენ მომავალ ბრძოლებს.

განყოფილებაში „მუშათა ცხოვრება“ გაზეთი ეხება საკითხს იმის შესახებ, თუ რატომ წაართვა ტრამვაის დირექციამ მუშებს ბრძოლით მოპოვებული უფლებები, თუ რატომ ვაუარესდა პირობები. ეს მოხდა იმიტომ, რომ 1905-1906 წ. წ. მათ ჰქონდათ მთლიანი ორგანიზაცია, ახლა ის დაეცა. მაგრამ ეს დამარცხება არის მომავალ გამარჯვებათა თავდები. „მომავალი გვეკუთვნის ჩვენ! მაშ ვემზადოთ!“, სწერს გაზეთი.

გაზეთ „ტიფლისკი პროლეტარის“ მეორე ნომერი გამოვიდა იმავე წლის 21 მარტს (ძველი სტილით). „ტიფლისკი პროლეტარი“ იბეჭდებოდა ბოლშევიკურ არალეგალურ სტამბაში, რომელიც ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მოწყობილ იქნა 1909 წლის დასასრულს კოჯრის გზაზე, ყოფ. ამაღლების ქუჩაზე (დღევანდელი დავითაშვილის).

გაზეთი „ტიფლისკი პროლეტარი“, რომელსაც ხელმძღვანელობდა ამხანაგი სტალინი, რაზმავდა მუშებს და გლეხებს მომავალი რეოლუციისათვის, რაზმავდა პარტიას ლიკვიდატორების წინააღმდეგ საბრძოლველად და ამზადებდა ნიადაგს რსდმპ მეექვსე კონფერენციის მოსაწვევად.

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

16 იანვარს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა ორდენები და მედლები გადასცა ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დიდ ჯგუფს; ეს მოწინავენი დაჯილდოებულნი არიან სოფლის მეურნეობაში მიღწეული თვალსაჩინო წარმატებისათვის და განსაკუთრებით ბამბის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

დაჯილდოებულნი ტაშის გრიალით ეგებებიან დარბაზში ამხ. მ. ი. კალინინის გამოჩენას.

ტაჯიკეთის წარჩინებული ადამიანები შეკრებილთა ერთსულოვანი ტაშის გრიალში ზედიზედ მიდიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან და იღებენ მისგან ჯილდოს.

ორდენებისა და მედლების გადაცემის შემდეგ ამხ. მ. ი. კალინინმა მოკლე მისასალმებელი სიტყვით გულითადად მიულოცა ამხანაგებს ჯილდოს მიღება და ახალი წარმატება უსურვა მათ მუშაობაში.

(საკდესი).

დავიცვათ ციტრუსები ყინვებისაგან

ციტრუსებს სანიმუშოდ გამოვაზაოთრებთ

(საუბარი ტელეფონით საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის რაიკომის მდივან ამხ. ვ. დვალთან)

გუშინ „კომუნისტის“ რედაქციის თანამშრომელი ტელეფონით ესაუბრა საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის რაიკომის მდივანს ამხ. ვ. დვალს, რომელმაც ყინვებისაგან ციტრუსების დაცვის სამუშაოთა მიმდინარეობის გარშემო შემდეგი განაცხადა:

— ყინვებისაგან ციტრუსების დაცვის საკითხი რაიკომის ბიუროს ჯერ კიდევ დეკემბერში განიხილა და დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი. 11 დეკემბერს ჩვენ განვიხილეთ სამუშაოთა მიმდინარეობის საკითხი და შევიმუშავეთ დამატებითი ღონისძიებანი. სანერგე ფარდულებში ყველგან შემოღებულია სადღეღამისო მორიგეობა. იმ ფარდულებისათვის, რომლებსაც არა აქვთ ღუმელები, შეძენილია საკმაო რაოდენობით ნავთქურები. თვითეულ ფარდულს უკვე მომარაგებული აქვს 10 დღის საწვავი მასალა. ციტრუსოვანთა პლანტაციებში შეგროვილია ნახერხი, ფიჩხი და სხვა ნარჩენები, რაც ყინვების დროს კოკონების ასანთებად იქნება გამოყენებული. კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს მიცემული აქვთ მტკიცე დავალება. სისტემატურად გაათავისუფლონ თოვლისაგან ციტრუსოვანი პლანტაციები და ყინვების დაწყებისთანავე მოაწყონ ფარდულების ხელოვნური გათბობა.

მოულოდნელად მოსულმა თოვლმა ორთაბათუმის სტალინის სახელობის კოლმეურნეობასა და მეოთხე საბჭოთა მეურნეობაში სამი ფარდული სავსებით დაამტვრია, სამი კი დაზიანა. ამჟამად მიმდინარეობს დაზიანებული ფარდულების შეკეთება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობაში არასერიოზულად მუშაობენ ციტრუსების ყინვებისაგან დაცვის საკითხებზე. მაგალითად, 15 იანვარს მახინჯაურის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის ფარდულში არ იყო მორიგეტელმანის სახელობის კოლმეურნეობას მომარაგებული არ ჰქონდა სათბობი მასალა.

ციტრუსოვან მცენარეთა შეხვევა და შეფუთვა ბათუმის რაიონში საერთოდ დროულად გაიშალა, მაგრამ ზოგიერთმა კოლმეურნეობამ ამ საქმეშიც უყურადღებობა გამოიჩინა. მაგალითად, ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობამ ციტრუსების შეფუთვა ძალიან დაგვიანებით დაამთავრა, მსგავს მაგალითებს ადგილი ჰქონდა მახინჯაურის კოლმეურნეობებშიც. სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში და სოფ. ახალშენის კოლმეურნეობა „მებრძოლში“ იმის გამო, რომ შეფუთვა დროულად არ მოახდინეს, ზოგიერთი ციტრუსოვანი მცენარე თოვლმა და ყინვებმა დააზიანა.

პარტიის რაიონული კომიტეტი ყოველგვარ ზომებს ღებულობს, რომ მსგავსი მაგალითები არ განმეორდეს და ციტრუსები სანიმუშოდ იქნას გამოზამთრებული. ყინვებისაგან ციტრუსების დაცვის სამუშაოზე ოპერატიული ხელმძღვანელობისა და დახმარების გასაწევად რაიკომმა ადგილებს მიამაგრა რაიონის 22 პასუხისმგებელი მუშაკი.

ᲨᲔᲤᲣᲗᲣᲚᲘᲐ ᲪᲘᲢᲠᲣᲡᲘ 700 ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲖᲔ

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ („კომუნისტის“ კორ.). ლანჩხუთის რაიონში გაშენებულია 700 ჰექტარი ციტრუსოვანი კულტურები, რომელთა შეფუთვა ჯერ კიდევ დეკემბერში დამთავრდა. ციტრუსების ყინვებისაგან დაცვის მიზნით პარტრაიკომის ბიუროს და რაიაბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოიტანეს სპეციალური დადგენილება, რომელშიაც დასახულია მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა საბჭოებზე მიმაგრებულია რაიონის 44 პასუხისმგებელი მუშაკი. მიღებულმა ღონისძიებამ საგრძნობლად შეუწყო ხელი ციტრუსოვანი კულტურების ყინვისაგან დაცვის სამუშაოთა დაჩქარებას.

სოფ. მამათის, აჯანის, ჩოჩხათის და სხვა კოლმეურნეობებში, სადაც დიდი თოვლია, ციტრუსოვანთა ხეები თოვლისაგან გაათავისუფლეს. ყველა კოლმეურნეობა მომარაგებულია საბობი მასალით, ფარდულებში, სადაც ნერგებია მოთავსებული, დადგმულია ნავთქურები, ღუმელები და ხდება მათი ხელოვნური გათბობა.

ციტრუსოვანთა ფარდულებში, სანერგეებსა და პლანტაციებში შემოღებულია მგრეხობთა, სპეციალისტთა და გამოცდილ კოლმეურნეთა განუწყვეტელი მორიგეობა ტემპერატურის ცვალებადობაზე სისტემატური დაკვირვებისათვის.

ტემპერატურის დაცემის დროს პლანტაციებში ხდება ფიჩხის და სხვა ნარჩენების აბოლება. მიღებულია ყოველგვარი ზომები ციტრუსოვანთა ნარგავების დაუზიანებლად და წესიერად გამოზამთრებისათვის.

ვ. მეძვაბიშვილი



საქმიწსახკომის აპარატში მომუშავე სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, რომლებიც მიდიან სოფლად სამუშაოდ (მოცხნიდან): ა. ბერიძე, ბ. ენუქიძე, ე. სუხიაშვილი, კ. შიხლიაროვი, ს. ახალქალაქელი.

ᲤᲠᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲛᲝᲜᲢᲘ ᲓᲐᲕᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲗ

ᲡᲘᲦᲜᲐᲚᲘ, 16 იანვარი. ულიანოვკის მტს-მა ვადაზე 20 დღით ადრე, 15 იანვარს დაამთავრა ტრაქტორების საზამთრო შეკეთება. მიმღებმა კომისიამ შეკეთების ხარისხს მაღალი შეფასება მისცა.

ულიანოვკის მტს-ის დირექტორი მ. ᲐᲚᲐᲕᲔᲠᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲡᲐᲠᲔᲛᲝᲜᲢᲝ ᲑᲠᲘ�გᲐᲓᲔᲑᲘ

(ᲒᲝᲠᲘ, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

გორის მტს-ში გაძლიერებული ტემპით მიმდინარეობს ტრაქტორების რემონტი. წინ მიდის ა. ონიაშვილის ბრიგადა, რომელმაც გეგმით გათვალისწინებული 9 ტრაქტორის ნაცვლად მაღალხარისხოვნად შეაკეთა 14 ტრაქტორი. ამ ბრიგადამ სოცშეჯიბრების გაშლით და შრომის დისციპლინის განმტკიცებით 14 ტრაქტორის შეკეთებას მოანდომა 2027 სამუშაო საათი, ნაცვლად 2246 საათისა. რემონტზე ენერგიულად მუშაობდნენ ტრაქტორისტები ვ. მურადაშვილი და კ. ჩალაური.

სტახანოვურად მუშაობენ ლეონიძის, ბაბიჩის, ი. ღოლოგაშვილის, ლ. ეხურგუნაშვილის და ა. ნანეტაშვილის ბრიგადები, რომლებმაც გეგმის გადამეტებით შეაკეთეს 11 ტრაქტორი.

Ბ. ᲧᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲗ ᲛᲘᲕᲔᲓᲘᲕᲐᲠᲗ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ ᲡᲐᲛᲔᲣᲨᲐᲝᲓ

ახლახან დავამთავრეთ საქართველოს სახელმწიფო ზოოვეტერინარული ინსტიტუტი და მივიღეთ საბჭოთა ვეტექიმის სატიტო სახელწოდება.

ჩვენ აღფრთოვანებით მოველოდით უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებას, რომ საკოლმეურნეო სოფელში დავბრუნებულიყავით როგორც სპეციალისტები და მიგველო აქტიური მონაწილეობა მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში. სიამოვნებით ვუჭერთ მხარს საქმიწსახკომის აპარატში მომუშავე სპეციალისტთა ინიციატივას, რომლებმაც „კომუნისტის“ საშუალებით მიმართეს საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს—წავიდნენ სამუშაოდ სოფლად.

რა უნდა იყოს იმაზე უფრო საპასუხოსა, რომ მუშაობდე უშუალოდ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, მტს-ში და პრაქტიკული საქმიანობით ყოველდღიურად მონაწილეობდე სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აყვავებისათვის ბრძოლაში, მუშობდე იქ, სადაც ყოველგვარი პირობები არსებობს მიიღო საწარმოო წრთობა, გაიარმავო და გაამდიდრო უმაღლესი სასწავლებელში მიღებული თეორიული ცოდნა.

ჩვენ სიხარულით მივდივართ მუდმივ სამუშაოზე ახალქალაქის რაიონში და მოვუწოდებთ უმაღლესი სასწავლებლების ყველა ახლად კურსდამთავრებულთ წავიდნენ სოფლად, უშუალოდ წარმოებაში და იმუშაონ იქ მთელი ენერგიით იმ საბრძოლო ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის, რომლებიც საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობამ და დიდმა სტალინმა დაგვისახეს სოციალისტური მეცხოველეობის მუშაკებს.

ვეტექიმები:
ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲙᲝᲯᲘᲠᲘᲫᲔ. ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲙᲝᲚᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲐ-ᲐᲕᲘᲐᲥᲘᲛᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲠᲘ ᲗᲐᲠᲗᲕᲘᲡ

დამთავრდა თავდაცვა-ავიაქიმის საქართველოს ორგანიზაციების პოლიტმუშაკების რესპუბლიკური თათბირი, რომელიც 16-17 იანვარს მიმდინარეობდა. თათბირს ესწრებოდნენ აჭარისა და აფხაზეთის ასსრ, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების (ინტრალოური საბჭოების პოლიტსექტორის უფროსები, აეროკლუბების წარმომადგენლები, თავდაცვა - ავიაქიმის ორგანიზაციების სამხედრო სასწავლო წერტილების, საოფიცეგაბაციო რაზმების და საჰაეროქიმიური თავდაცვის პუნქტების ხელმძღვანელები, თავდაცვა - ავიაქიმის რაიონული საბჭოების პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნები და კედლის გაზეთების redაქტორები.

1939 წელს თავდაცვა-ავიაქიმის საქართველოს ორგანიზაციებში ჩატარებული პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შედეგებისა და 1940 წლისათვის მორიგი ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა თავდაცვა-ავიაქიმის საქართველოს ცენტრალური საბჭოს პოლიტსექტორის უფროსი ამხ. შ. ჯაში.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს თავდაცვა-ავიაქიმის საკავშირო ცენტრალური საბჭოს პოლიტგანყოფილების წარმომადგენელმა, ამხ. ვ. კომისაროვმა, საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის სამხედრო განყოფილების გამგის მოადგილემ ამხ. ა. ბონდარეევმა და საქ. სსრ სამხედრო კომისარმა, პოლკოვნიკმა ამხ. ვ. ძაბახიძემ.

მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 31 კაცმა.

თათბირზე შინაარსიანი სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ისიდორე სილაგაძე და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის სამხედრო განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ა. ბონდარეევი.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა იმხანაგებმა თათბირის ყურადღება ძმთავრულად გამამახვილეს იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებს აქვთ პარტიულ-პოლიტიკური და მასობრივი თავდაცვითი მუშაობის დარგში.

მთელ რიგ ორგანიზაციებში სუსტად სწარმოებდა პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობა. ქუთაისის სასწავლო წერტილში არ გამოდიოდა კედლის გაზეთი, პოლიტმეცადინეობაზე ჯგუფელი ხშირად მოუმზადებელი ცხადდებოდა და სხვ. მსგავს მდგომარეობას ადგილი ჰქონდა გორის, ორჯონიკიძისა და ბორჯომის რაიონებში.

თათბირზე გამოირკვა, რომ თავდაცვა-ავიაქიმის ზოგიერთმა სასწავლო წერტმა აქამდე ვერ შესძლო სათანადოდ მოეწყო და გაეფორმებინა ლენინის ტუთხეები, რომლებიც პოლიტმეზრდელობითი და კულტურული დასვენების მთავარ კერას წარმოადგენენ. აღინიშნა აგრეთვე ძირეული პრესის სუსტი მუშაობა.

ისენებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და 1940 წლის ამოცანების შესახებ თათბირმა დასახა სათანადო ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების მუშაობის ახლებურად გარდაქმნას.

ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐ

16-17 იანვარს შინსახკომის ძერჟინსკის სახელობის კლუბში მიმდინარეობდა კომკავშირის თბილისის აქტივის საერთო-საქალაქო კრება. კრება მიძღვნილი იყო საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის X პლენუმის შედეგების განხილვისადმი.

აქტივის კრება გახსნა საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ცქიტიშვილმა.

საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის X პლენუმის შედეგებზე შინაარსიანი მოხსენებით გამოვიდა საქ. ალკკ ც. კ-ის მდივანი ამხ. ა. მირცხულავა. მოხსენებელი ვრცლად შეეხო კომკავშირის როლს საბჭოთა სკოლის მუშაობის გადაჭრით განმტკიცებისა და გაუმჯობესების საქმეში.

— კომკავშირის ორგანიზაცია, — ამბობს ამხ. მირცხულავა, — უნდა დაეხმაროს სახალხო მასწავლებლობას სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ საფეხურზე დაყენებისათვის, მოსწავლეებში ბოლშევიკური წესრიგისა და შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მთელი რიგი კომკავშირული ორგანიზაციები ამ მხრივ სუსტად მუშაობენ. დროა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა შეიგნონ, რომ საჭიროა სახალხო მასწავლებლის — კომუნიზმის მშენებლობის მოზარდი თაობის აღმზრდელთა დაახლოება კომკავშირთან.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. გ. კლდიაშვილმა, ეკ. მესხმა, ი. შახრამანოვმა, კანდელაკმა, რ. ჭორჭიამ, ვ. დარაშვილმა, ჭანტურიშვილმა, სემიონოვმა, ბოკუჩავამ, გოგუაძემ, საჯაიამ, სიხარულიძემ, ვ. ზუბიაშვილმა და სხვ.

აქტივის კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე საქ. სსრ განათლების სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. მ. ბურჭულაძე, ამხ. ჟვანია (საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტი) და საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. გ. ცქიტიშვილი.

სიტყვებით გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ აუცილებელია კომკავშირული ორგანიზაციების მობრუნება სკოლისაკენ სასკოლო მუშაობის გაუმჯობესებისათვის და სტალინური ეპოქის ბედნიერი მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდისათვის. კომკავშირული ორგანიზაციები სახალხო მასწავლებლებს უნდა მოეპყრან მზრუნველობით, გულისხმიერად და ფრთხილად. ასეთია ამოცანა და ეს უნდა შესრულდეს.

საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. ა. მირცხულავა. ამხ. მირცხულავას სიტყვის შემდეგ აქტივის კრებამ მიიღო სათანადო რეზოლუცია.

კომკავშირის თბილისის საერთო-საქალაქო კრების მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი და პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. ა. კვაჭაძე. საქ. ალკკ ც. კ-ის მდივანი ამხ. თ. ბოკაძე, საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარი ამხ. გ. კიკნაძე და სხვ.

ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲗᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ-ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲚᲛᲔᲑᲘ

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილებით ჩრდილოსტალინური სპორტის მიხედვით პროფკავშირთა პირველობაში გამარჯვებულთათვის დაწესებულია გარდამავალი ჯილდოები და ალმები. ჯილდოები დაწესებულია გიმნასტიკისათვის, მძლეოსნობისათვის, ცურვისთვის, მოტოციკლისათვის, ამხ. შვერნიკის სახელობის კროსისთვის, საზამთრო საათილამურო კროსისთვის, „მშთ“, მრავალჭიდისთვის, ფეხბურთისათვის, ხელჩართული ბრძოლისათვის, ჭადრაკისა და შაშისათვის; ალმები — ციგურებისათვის, ჭიდაობისთვის, კრივისთვის, ძალოსნობისთვის, ვოლოსპედისათვის, საიალქნო სპორტისათვის, სტენდით სროლისათვის, ფრენბურთისათვის, კალათბურთისათვის, ჩოგბურთისათვის და ხოკეისთვის. ჯილდოებსა და ალმებს პირველად მიუსჯიან პროფკავშირთა სრულიად - საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1940 წლის პირველობაზე გამართულ შეჯიბრებებში გამარჯვებულთ. (საკდესი).

ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲒᲘᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲔᲡᲘᲔᲑᲘ

ᲐᲦᲒᲣᲚᲐᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ

თეთრი წყარო, (საქდესი). შესდგა მშრომელთა დეპუტატების აღბულაღის რაიონული საბჭოს სესია. სესია გახსნა უხუცესმა დეპუტატმა ამხ. პარავინამ. სესიამ აირჩია საბჭოს აღმასკომი 8 კაცის შემადგენლობით, აღმასკომის თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი.

აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. **ოვანოვი.** შემქმნილია შემდეგი განყოფილებანი: ჯანმრთელობის დაცვისა, კომუნალური მეურნეობისა, საგზაო, საფინანსო, საშინაოთმოქმედო, სოციალური უზრუნველყოფისა, საერთო, სავაჭრო, სახალხო განათლებისა და ადგილმოკომისია. სესიამ აირჩია აგრეთვე მუდმივი კომისიები — საბიუჯეტო, სასკოლო, თავდაცვისა და ჯანმრთელობის დაცვისა.

ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ

(ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲗ „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

გაიხსნა მშრომელთა დეპუტატების ბორჯომის რაიონული საბჭოს პირველი მოწვევის პირველი სესია, რომელიც გახსნა უხუცესმა დეპუტატმა ფატმან მასხარაშვილმა. სესიამ დაამტკიცა დღის წესრიგი და შეჰქმნა მუდმივად მოქმედი კომისიები.

სესიამ აგრეთვე დაამტკიცა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 9 განყოფილება და მათი გამგეები; რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში აირჩია 9 კაცი, რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დეპუტატი **გ. არჯევანიძე,** თავმჯდომარის მოადგილედ — დეპუტატი **თ. ბალაევიჩი,** მდივნად — დეპუტატი **ა. მიქელაძე.**

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ

(ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ, „კომუნისტის“ კორ.)

ზუგდიდის სახელმწიფო თეატრში გაიხსნა ზუგდიდის რაიონული საბჭოს პირველი მოწვევის პირველი სესია. სესია გახსნა უხუცესმა დეპუტატმა დამსახურებულმა პედაგოგმა გ. ლოგუამ. სესიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დეპუტატი **ა. კვარაცხელია,** მდივნად — **მ. ჯღამაია.**

რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დეპუტატი **გ. საჯაია,** თავმჯდომარის მოადგილედ — დეპუტატი **რ. ფანთია,** მდივნად — დეპუტატი **ვ. როგავა.**

ᲞᲠᲐᲚᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ 28 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ცხრაასხუთი წლის რევოლუცია დამარცხდა. გამეფდა შავი რეაქცია. კონტრრევოლუცია თავის გამარჯვებას ზეიმობდა. შავრაზმული ტერორი მთელი სიძლიერით მძინვარებდა. მეფის მინისტრმა სტოლიპინმა ყველგან აღმართა სახრჩობელები, რომლებსაც მაშინ „სტოლიპინის ჰალსტუხს“ უწოდებდნენ.

ასეთ პირობებში პარტიული ორგანიზაციების მუშაობა მეტად გაძნელებული იყო. საჭირო იყო შეცვლილიყო პარტიის ტაქტიკა. „ბოლშევიკები იბრძოდნენ არალეგალური პარტიული ორგანიზაციების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. მაგრამ იმავე დროს ბოლშევიკები აუცილებლად საჭიროდ სთვლიდნენ გამოიყენებინათ ყველა ლეგალური შესაძლებლობა, ყოველგვარი ლეგალური ხელჩასაჭიდი, რომლის შემწეობითაც შესაძლებელი იქნებოდა მასებთან კავშირის დაცვა და შენარჩუნება და ამით პარტიის გაძლიერება“. (საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, გვ. 201).

შავმა რეაქციამ დააფრთხო მენშევიკები. ისინი შიშით ცახცახებდნენ, არ სწამდათ რევოლუციის ახალი აღმავლობის შესაძლებლობა, ისინი ურიგდებოდნენ „სტოლიპინის რეფორმას“, სამარცხვინოდ ხელს იღებდნენ რევოლუციურ ლოზუნგებზე. ამიტომ მენშევიკები მოითხოვდნენ პროლეტარიატის არალეგალური რევოლუციური პარტიის ლიკვიდირებას, მის მოსპობას.

ბოლშევიკები ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით გამანადგურებელ ბრძოლას აწარმოებენ ორ ფრონტზე — ლიკვიდატორებისა და ოტზოვისტების წინააღმდეგ. რსდმპ მესუთე (სრულიად-რუსეთის) კონფერენციამ, რომელიც შესდგა 1908 წელს პარიზში, ლენინის წინადადებით გაჭიკცხა ლიკვიდატორობა. კონფერენციამ ყველა პარტიულ ორგანიზაციას მოუწოდა ლიკვიდატორობასთან გადამწყვეტი ბრძოლისაკენ. გარეწარი ტროცკი მხარს უჭერდა ლიკვიდატორ-მენშევიკებს, რისთვისაც ლენინმა უკვე მაშინ უწოდა მას „იუდა ტროცკი“. თავის ლიკვიდატორობას ტროცკი მჭურავდა ცენტრიზმით და ამიტომ ის, როგორც ლენინი სწერდა, ლიკვიდატორებზე უფრო საშიზღარი დ**ᲒᲐᲕᲜᲔ ᲘᲧᲝ. ᲡᲐᲨᲘᲖᲦᲐᲠᲛᲐ ᲘᲧᲝᲓᲐᲛ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲣᲧᲝᲤᲚᲘᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ.** ᲡᲐᲨᲘᲖᲦᲐᲠᲛᲐ ᲘᲧᲝᲓᲐᲛ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲣᲧᲝᲤᲚᲘᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ.

საში იწყო ლენინისა და ბოლშევიკების გაუგონარი ლანძღვა. ლენინი მაშინ სწერდა: „ტროცკი მოიქცა ისე, როგორც უსაზიზღრესი კარიერისტი და ფრაქციონერი... ლაყბობს პარტიაზე, ხოლო ყველა სხვა ფრაქციონერზე უარესად იქცევა“.

პარტიაში შექმნილი მდგომარეობა შესაძლებლობას არ აძლევდა ბოლშევიკებს დაეარაზმათ მასები ახალი რევოლუციური აღმავლობისათვის, რომელიც 1910 წლიდან დაიწყო. საჭირო იყო პარტიის გაწმენდა ოპორტუნისტებისაგან, მენშევიკებისაგან. საჭირო იყო მორიგი ამოცანების დასახვა, ახალი გზის გამონახვა. პარტიის ეს მორიგი ამოცანები წამოყენებული იყო ამხანაგ სტალინის სტატიაში, რომელიც გამოქვეყნდა 1910 წლის გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ მეთერთმეტე ნომერში. თავის სტატიაში ამხანაგი სტალინი აყენებს პარტიული კონფერენციის მოწვევისა და რუსეთში საერთო-რუსული პარტიული გაზეთის გამოცემის ორგანიზაციის საკითხს. სტალინი ამ სტატიაში მთლიანად უჭერს მხარს ლენინის პოზიციას და მოითხოვს არანორმალური მდგომარეობის ლიკვიდაციას, ფარდას ხდის ტროცკისა და მის ხელშემწყობთა გამაცემლურ საქციელს.

ლენინის ხელმძღვანელობით და წინადადებით იქმნება რუსეთის საორგანიზაციო კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიდნენ ს.

ამხანაგი ი. ბ. სტალინი ქართულ სახვითს ხელოვნებაში

(საქართველოს მხატვართა სურათების გამოფენა)

ი. ბ. სტალინი და მაქსიმ გორკი
მხატვ. პ. ბლიოტკინის ნახატი.

შემოქმედების უშრეტი წყარო

ხელოვნებისათვის არ არსებობს იმაზე უფრო საპატიო და საყვარელი ამოცანა, ვიდრე ასახოს შემოქმედებაში და აამეტყველოს მხატვრულ სახეებში მსოფლიოს მშრომელთა საყვარელი ბელადის, დიდი სტალინის შესანიშნავი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მომენტები, ცხოვრებისა, რომელიც ხელოვნების ყველა მუშაკისათვის შემოქმედების დაუშრეტელი წყაროა.

საბჭოთა ხელოვნებას არაერთი და ორი შედევრი მიუძღვნა დიდი სტალინის შესანიშნავი ცხოვრების სხვადასხვა პერიოდისადმი; დიდი საბჭოთა ხელოვნების ცალკეული დარგები: თეატრი და კინო, მუსიკა, მხატვრობა და ქანდაკება ერთმეორეს ეჯიბრებიან უფრო სრულქმნილი მხატვრული სახეების, სტალინური კონსტიტუციის მზით გამთბარი ჩვენი სინამდვილის ამსახველი, ჩვენი დიადი ეპოქის შესაფერი შედევრების შექმნაში. საბჭოეთის მსუყე მინდორ-ველებიდან საამურად გაისმის თავისუფალი საბჭოთა ხალხის ბედნიერების გრძნობითა და მადლობით აღსავსე ჰიმნები ათეულ საბჭოთა ხალხების ენებზე შექმნილი სიმღერები მოგვითხრობენ ჩვენი ქვეყნის ტრიუმფალური გამარჯვებების შესახებ, რომელთა საუკეთესო მოქანდაკე და სულისჩამდგმელი დიდი სტალინია.

ქართულ სახვითს ხელოვნებას წილად ხვდა უდიდესი ბედნიერება შეექმნა მრავალი ტილო და ქანდაკება, რომლებშიაც გამოსახულია ამხანაგ სტალინის გმირული რევოლუციური ბრძოლის თვალწარმტაცი პერიოდები. ამ ბრძოლის კერა საქართველო და ამიერ-კავკასია იყო. ხელოვანთა შემოქმედებითი აღტყინების ძირითადი საფუძველი გახდა სტალინის საუკეთესო თანამგბრძოლის, ამხანაგ ლ. პ. ბერიას შესანიშნავი შრომა — „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის". აღნიშნულმა შრომამ საბჭოთა მხატვრების შემოქმედება დაუშრეტელი თემატიკით გაამდიდრა. ამ შრომის მასალების მიხედვით შეიქმნა შესანიშნავი ტილოები იმ დიდი გამოფენისა, რომელიც მიძღვნილი იყო ქართველი მხატვრების მიერ ამიერკავკასიასა და საქართველოში ამხანაგ სტალინის არალეგალური რევოლუციური მოღვაწეობისადმი; ამავე შრომით არის შთაგონებული ქართველ მხატვართა სურათების გამოფენა, გახსნილი 1939 წლის დეკემბერში დიდი ბელადის დაბადებიდან 60 წლისთავის აღსანიშნავად, რომლის ექსპონატები მხატვრულ სახეებში ღაღადებენ ამხანაგ სტალინის შესანიშნავ ცხოვრებაზე.

გამოფენა უტყუარი დოკუმენტია იმისა, რომ ისტორიულ-რევოლუციურმა თემატიკამ აღფრთოვანა მხატვართა და მოქანდაკეთა მთელი პლეადა. გამოფენამ ბევრი ახალი მხატვარი გამოავლინა, რომელთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა თავისი შემოქმედებითი დებიუტი ამ თემატიკით დაიწყო. გამოფენა გვიჩვენებს აგრეთვე ზოგი მონაწილე მხატვრის უდაო შემოქმედებითს ზრდას, რაც მეტად სასიხარულო მოვლენაა (მხატ. ი. ვეფხვაძე, უ. ჯაფარიძე, ვ. ჯაფარიძე, ა. გიგოლაშვილი და სხვ.).

თუ გამოფენას განვიხილავთ მისი თემატიკური აქტუალობისა და მრავალფეროვნების გარეშე, ხარისხობრივი მაჩვენებლების ანალიზის თვალსაზრისით, უნდა აღვნიშნოთ, რომ გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატების საკმაო რაოდენობას ჯერ კიდევ აზის ნაჩქარევი მუშაობის, და სქემატიურობის დაღი. გამოფენაზე წარმოდგენილია მხატვართა ერთი რიგი, რომელიც ნაკლები ყურადღებით ეპყრობა შემოქმედების მეთოდოლოგიურ და ტექნიკურ საკითხებს. სამწუხაროა, როდესაც ასეთებს შორის ხანდახან მოწინავე მხატვრებსაც დაინახავთ (მაგ. ა. კოპალიანი, ს. კირაკოსოვი, მ. თოიძე, ი. გვანცელაძე, შ. შარბაბჩიანი, მ. კვინიხიძე და სხვ.).

სამაგიეროდ გამოფენაზე მაინც საკმაო რაოდენობით არის წარმოდგენილი ისეთი ნაწარმოებნი, რომლებიც იმსახურებენ მნახველთა ყურადღებას. მაგ., „ამხანაგ სტალინის გამოსვლა დისპუტზე ლიბერალების წინააღმდეგ 1905 წელს" (მხატვ. ი. ვეფხვაძე), „საპირველმაისო დემონსტრაცია თბილისში" (მხატვ. ა. გიგოლაშვილი), ესკიზი პანოსათვის ამავე თემაზე (მხატვ. უ. ჯაფარიძისა), „ამხანაგი სტალინი ქუთაისის ციხის საკანში 1903 წელს" (მხატვ. ქ. მაღალაშვილისა), „ამხანაგი ი. ბ. სტალინი და მ. გორკი" (მხატვ. ა. ბლიოტკინისა) და სხვ.

დიდი თემები და მათი შესრულება

მხატვ. ივ. ვეფხვაძემ თავისი შემოქმედებითი სახე გვიჩვენა ჯერ კიდევ 1936 წელს გამართულ დიდ გამოფენაზე. გამოფენაზე მისი სურათი „ამხანაგ სტალინის გამოსვლა დისპუტზე ლიბერალების წინააღმდეგ 1905 წელს" უდავო მოწმეა ი. ვეფხვაძის დიდი შემოქმედებითი წარმატებისა. ამ სურათში მხატვარი მეტად მოხერხებულად სწყვეტს კომპოზიციის რთულ საკითხს, ჰქმნის დისპუტზე პოლიტიკურ განწყობილობათა კონკრეტულ დაპირისპირებას ორი — ერთმანეთისადმი დიამეტრალურად მოწინააღმდეგე კლასის წარმომადგენლებს შორის. სურათის მეორე პლანზე მდგომი ამხანაგი სტალინი მთელი ნაწარმოების ყურადღების ცენტრშია მოქცეული. სტალინის გამომეტყველება და მოძრაობა დიდი დამჯერებლობითაა მოცემული, თითქოს გესმოდეს ამხანაგ სტალინის მიერ წარმოთქმული გამანადგურებელი სიტყვები, მიმართული ამ დისპუტის „პრეზიდიუმისადმი", რომლის თავმჯდომარე უძლური აღმოჩნდა თავისი დაჭიმული ენერგიითა და ლითონის ზარით სიტყვა წაერთმია მგზნებარე რევოლუციონერისათვის. მხატვარი სურათის პირველ პლანზე განგებ ანალგებს ლიბერალური ბურჟუაზიის წარმომადგენელთა პორტრეტების თეოლს გალერიას, რათა გამოაჩაროს მათი გამცემლობა პროლეტარიატის საქმის მიმართ. სურათი აუცილებლად აღწევს თავის დანიშნულებას, ის მოლიანად უპასუხებს მხატვრის მიერ დასმულ თემას, რასაც ხელს უწყობს ფერადების კანონზომიერი განლაგება, ჩრდილისა და სინათლის წინასწარ განზრახული განაწილება და მარჯვე ნახატი.

მხატვარი უჩა ჯაფარიძე მასობრივი სცენების შესანიშნავ ოსტატად გვევლინება, მის ნახატში „საპირველმაისო დემონსტრაცია თბილისში" (ესკიზია დიდი სურათისათვის) ნათლად სჩანს, რომ მხატვარი დიდი სერიოზულობით მისდგომია ამ ამოცანის გადაჭრას და ვფიქრობთ ის სურათი, რომელიც ამ ესკიზის მიხედვით უნდა შეჰქმნას მხატვარმა, მეტად საინტერესო იქნება.

არანაკლებ საინტერესოა მხატვარ ა. გიგოლაშვილის ნამუშევარი ამავე თემაზე. თუ უჩა ჯაფარიძე საპირველმაისო დემონსტრაციაში გვიჩვენებს მასების საერთო განწყობილებას, იდეის ერთიანობას, მასობრივ მღელვარებას, მხატვარი გიგოლაშვილი ამ საკითხს უდგება სულ სხვა თვალსაზრისით. თავის სურათში გიგოლაშვილს წინა პლანზე მოცემული აქვს ერთერთი ჯგუფი დემონსტრანტებისა. ამ დემონსტრაციას არევ-დარევა შეაქვს ყოფ. „სალდათის ბაზარში", თავზარდაცემული ბრბო მეშჩანური საზოგადოების წარმომადგენლებისა დაბნეულა, არ იციან სად წავიდნენ, ცილინდროსანი მოქალაქე ძალათ მიათრევს თავის მეუღლეს ვიწრო ქუჩისაკენ, აგერ ქალაქის წურბელა სპეკულანტი, რომელსაც სასწორი ხელიდან გავარდნია და საცოდავად ფართხალებს. იქვე პირაღმა გდია დოყლაპია პოლიციელი და ჯერაც ვერ გარკვეულა რა ხდება. ამავე დროს წინ მიდის ერთი იდეით და მტკიცე რწმენით გამსჭვალული მასა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით. თუმცა სურათი ვერ იძლევა სავსებით დამთავრებული ნაწარმოების შთაბეჭდილებას, მაგრამ სხვა სურათებთან შედარებით ერთერთ სერიოზულ ნამუშევრად უნდა ჩაითვალოს გამოფენაზე.

მეტად ლირიული განწყობილებითაა მოცემული მხატვარ თ. აბაკელიას სურათი „ბელადი დედასთან". ამ სურათში უთუოდ იკრძნობთ მშობლიური სიყვარულის სითბოს, რასაც სურათის კომპოზიციაც ალიერებს, მაგრამ ამავე დროს მასში მოცემული ფერადების წყობის მანერა მეტად ტვირთავს ნაჯატის საერთო შთაბეჭდილებას. აქ ნაკლებად არის გამოანგარიშებული ფერადების წყობის გეგმიანობა, რის გამოც სურათში პლანები არ არსებობს და ყველაფერი როგორც ადამიანები, ისე სურათის სხვა ნაწილები, თითქმის ერთ სიბრტყეზეა დალაგებული, ყოველგვარი სილრმის გარეშე.

დამაჯერებლია და საინტერესოა მხატვარ ს. ნადარეიშვილის სურათი — „ამხანაგ სტალინის დაკითხვა ქუთაისის ციხეში 1903 წელს". ამ ნახატში ამხანაგი სტალინი მიდგრად და დინჯად გამარჯვების რწმენით აღსავსე გამომეტყველებით დგას მეფის ყურმოჭრილი და ამავე დროს განრისხებული მსახურის წინაშე. ტილოზე ნათლად მოსჩანს მუშათა კლასის ბელადის შეუპოვარი წინააღმდეგობა ისტორიის მიერ განწირული ბრჭყვიალა მუნდირ-ეპოლეტებში გახვეული მუშტმოღერებული ცოცხალი ლეშის მიმართ.

არანაკლებ ყურადღებას იპყრობს მხატვ. ქ. მაღალაშვილის მიერ შესრულებული სურათი „ამხანაგი სტალინი ბათუმის ციხის საკანში". მხატვარმა შესძლო მოეცა, გარდა ფოტოგრაფიული მსგავსებისა, ამხანაგი სტალინის მთელი შინაგანი სიძლიერე, სიმტკიცე და მიზანდასახულობა. მიუხედავად ამისა, სურათს მაინც ეტყობა, რომ ის სავსებით დამთავრებული ნაწარმოები არ არის და საჭიროებს ნაწილობრივ დამუშავებას.

თავისი ლირიული განწყობილებით გამოირჩევა მხატვარ დ. ვოლგინის სურათი „ამხანაგი სტალინი თავის ტოლებთან". სიხალისით აღსავსე განწყობილებით აქვს მოცემული მხატვარს ამ სურათში ახალგაზრდა ბიჭუნების ჯგუფი.

საპირველმაისო დემონსტრაცია 1901 წ. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით.
მხატვ. ა. გიგოლაშვილის ნახატი.

ამხანაგ სტალინის გამოქცევა გადასახლებიდან
მხატვ. გ. ჯორჯაძის ნახატი.

მაღალი ოსტატობისათვის

გამოცდილი ოსტატის ხელით არის დაწერილი მხატვარ ვ. ჯაფარიძის ნამუშევარი — „გორის საასულიერო სასწავლებელი, რომელშიაც სწავლობდა ამხანაგი სტალინი", და მისივე „გორის ისტორიული პეიზაჟი". ყურადღებას იპყრობს აგრეთვე მხატ. გ. ნიჟარაძის ნამუშევარი „იარაღის არალეგალური საწყობი", მხატ. ნ. თამამშვილის, კ. კიკნაძის, კ. სანაძის. ვლ. ბაგრატიონის, მ. თარიშვილის ნამუშევრები.

მხატვარ გ. ჯორჯაძის ნახატში („გამოქცევა გადასახლებიდან") სწორად არის გადმოცემული ისტორიული სიმართლე, ბელადის სიმტკიცე და მისი ცხოველმყოფელი ზეგავლენა მოსაუბრის შეგნებაზე.

ახალგაზრდა მხატვრები ვ. შერპილოვი და ა ლურიე კარგ შემოქმედებითს მუშაობას გვპირდებიან, მაგრამ ამჟამად გაძოფენაზე წარმოდგენილი მათი ნახატები, მიუხედავად ფერწერის საკმაოდ გამართული და თავისუფალი ტექნიკისა, მაინც ვერ დგანან მოწოდების სიმაღლეზე. ეს უფრო მეტად ითქმის მხატვ. შერპილოვზე, რომლის სურათში „ბელადის სამშობლოში" ვერ არის გამართული კომპოზიცია. სურათში არ არსებობს არც ხაზობრივი და არც ფერადების კანონზომიერი დალაგება, არ არის პლანები, სურათის წინა და უკანა პლანი ერთ სიბრტყეზეა მოცემული და ერთმეორეში არეული.

მხატვარი ი. გვანცელაძე კომპოზიციის საკითხებში სისუსტეს იჩენს. მისი სურათი „ამხანაგი სტალინი სწერს ლექსებს" უფრო გაჩეხილი ტყის პეიზაჟს წარმოადგენს.

ზოგიერთი მხატვარი თავიანთ ნამუშევრებში სინამდვილის ფოტოგრაფიული ასახვის დონეს ვერ გაშორებია. ასეთი ფოტოგრაფიულობით ხასიათდება მხატვარ ა. კოპალიანის, ფეკლისტაშვილის, კვინიხიძის, ნ. ვერმიშევას, თ. მაღალდაძის და სხვ. ნახატები.

ასეთივე მხოხავი რეალისტური მანეოლითაა შესრულებული მხატვ. ბენოს სურათი. ერთმანეთის მზგავსი, უსიცოცხლო და მელანქოლური პერსონაჟებით აქვს მოცემული მას სურათში „არალეგალური კრება ამხ. სტალინს სახლში დიდი სტალინის ხელმძღვანელობით".

გრაფიკოსების ნამუშევრებიდან გამოირჩევა მხატვარ მ. მღებრიშვილის და ა. კოჯოიანის ნამუშევრები.

გამოფენის ნაკლოვანებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მოქანდაკეების დიდი უმრავლესობის და მათ შორის ი. ნიკოლაძის, კ. მერაბიშვილის, ნ. კანდელაკის, რ. თავაძის და სხვ. ნამუშევრები არ არის წარმოდგენილი. ამ ხარვეზს მარტო ს. კაკაბაძისა და მ. თალაქვაძის ნამუშევრები ვერ შეავსებენ.

ჩვენს მხატვრებს ყველაფერი მოეპოვებათ იმისათვის, რომ მოგვცენ ეპოქის შესაფერი მაღალმხატვრული ნაწარმოებები. საჭიროა უფრო მეტი ენერგიით მუშაობა, სპასუხისმგებლო თემებისადმი უფრო მეტი სერიოზულობით მიდგომა, შემოქმედებითი კვალიფიკაციის ამაღლება და ფუნჯის მაღალი ოსტატობის დაუფლება. ამ საქმეს მხატვართა კავშირმა მეტი ორგანიზაციული ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს.

ლ. ძიძოძე.

ა. გარათელი

დიდი რევოლუციონერი-დემოკრატი

(ა. ი. გერცენის გარდაცვალებიდან 70 წლისთავის გამო)



შურისძიების გრძობა დაღუპულთა სისხლის ასაღებად.

ალექსანდრე ივანეს-ძე გერცენი— მდიდარი რუსი მებატონის ი. ა. იაკოვლევის და ლუიზა ჰაგის „უკანონო" შვილი — დაიბადა 1812 წლის 6 აპრილს. ყრმა გერცენმა კარგი სწავლა-აღზრდა მიიღო.

1829 წელს ის შედის მოსკოვის უნივერსიტეტში. აქ მის და ოგარევის გარშემო თავს იყრის სტუდენტთა წრე, რომლის წევრები უტოპიური სოციალიზმის ძლიერ გავლენას განიცდიდნენ. წრის ავტორიტეტი თანდათან იზრდებოდა. 1834 წელს საიდუმლო პოლიციამ „დახურა" წრე და მისი ხელმძღვანელები — გერცენი და ოგარევი — დააპატიმრა. 9 თვის პატიმრობის შემდეგ გერცენი გადაასახლეს ჯერ პერმში და შემდეგ ვლადიმირში. 1840 წელს გერცენი საცხოვრებლად პეტერბურგს გადადის. მალე პოლიციამ ხელთ იგდო მისი კერძო წერილი, სადაც ის პოლიციის უკანონო მოქმედებას ამხელდა. გერცენი კვლავ დაუპატიმრეს და გადაასახლეს ნოვგოროდში. ამ გადასახლებაში გერცენი სწერს მთელ რიგ ფილოსოფიურ წერილებს და რომანს — „ვინ არის დამნაშავე?". 1842 წელს ის ჩამოდის მოსკოვს და გულმოდგინედ ზრუნავს საზღვარგარეთ წასვლაზე. მას პირველ

ოხოვნაზე უცხოეთში გამგზავრებაზე ნებართვის გაცემის შესახებ ნიკოლოზ I-მა ასეთი რეზოლუცია დადო — „ადრეა".

როგორც იქნა, 1847 წელს გერცენმა მოახერხა ოჯახით საზღვარგარეთ გამგზავრება და მას შემდეგ სამშობლოში აღარ დაბრუნებულა.

ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში გერცენმა დასწერა „წერილები საფრანგეთიდან და იტალიიდან" და „რუსი ხალხი და სოციალიზმი". ამ წერილებმა საერთაშორისო ყანდარმის დიდი გულისწყრომა გამოიწვია. 1851 წელს III განყოფილებამ წინადადებით მიმართა გერცენს დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყო რუსეთში და მოეხადა „დამსახურებული" სასჯელი, გერცენმა ამაზე გამანადგურებლად დამციანავი წერილით უპასუხა. იმავე წელს სენატმა დააღგინა გერცენის გაძევება რუსეთიდან და მთელ მის ქონებას კონფისკაცია უყო. ვერც დეენამ, ვერც პირადმა უბედურებამ (მას თითქმის ერთი წლის განმავლობაში დაეღუპა დედა, ცოლი და ორი შვილი) ვერ გასტეხა სულიერად დიდი რევოლუციონერი-დემოკრატი. 1852 წ. გერცენი საცხოვრებლად გადადის ლონდონს, სადაც აარსებს „თავისუფალ რუსულ სტამბას". აქ დაიწყო მან თავისი შესანიშნავი „Былое и думы". 1856 წლიდან მასთან ჩადის ნ. პ. ოგარევი, რომელთანაც ერთად ის 1857 წლიდან იწყებს სახელგანთქმული „კოლოკოლის" გამოცემას. 1870 წლის 21 იანვარს გერცენი გარდაიცვალა ფილტვების ანთებით.

ასეთი იყო ა. ი. გერცენის ცხოვრების გზა.

ა. ი. გერცენის მსოფლმხედველობა მემარცხენე ჰეგელიანელების, ფეიერბახისა და ფრანგი უტოპისტების გავლენით ჩამოყალიბდა. ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში დაინტერესდა იგი სოციალურ-პოლიტიკური საკითხებით, ხარბად ეძებდა სწორ რევოლუციურ თეორიას და ოცნებობდა ისეთ საზოგადოებრივ წყობილებაზე, რომელსაც საფუძვლად დაედებოდა შრომისა და ცოდნის პრინციპები. რუსეთის საზოგადოებაში ახალი იდეების განმტკიცებას მრავალი დაბრკოლება ელობებოდა. გერცენმა ერთერთმა პირველთაგანმა იგრძნო სლავიანოფილობის რეაქციული ბუნება, და მისი შეტაკება უკანასკნელთან აუცილებელი იყო. გერცენმა დაიწყო რუსეთის საზოგადოებრივი აზრის იმ ცოცხალი ძალების მობილიზაციით, რომლებიც ყალბად გაგებული ჰეგელიანიზმის წყალობით მეტაფიზიკური ბურუსით იყვნენ მოცულნი. ცნობილია, რომ ასეთ გავლენას გენიალური ბელინსკიც ვერ ასცდა. ა. ი. გერცენი თავგამოდებით ამტკიცებდა, რომ ყველანაირი სინამდვილე არ შეიძლება იყოს გონიერი და, მაშასადამე, გადამწყვეტი ბრძოლაა საჭირო ბუნური სინამდვილის და პირველ რიგში, მაშინდელი რუსული სინამდვილის წინააღმდეგ. ამით მან აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას დაუბრუნა ბევრი რუსი მოაზროვნე.

ამ საქმეში გერცენს დიდი დახმარება გაუწია მემარცხენე ჰეგელიანელების, კერძოდ ფეიერბახის, ნაწერების ცოდნამ. ფეიერბახი მისთვის ნამდვილი თვალისახელა იყო. გერცენი იგონებს ერთ შემთხვევას როცა ოგარევმა გამოუგზავნა მას ფეიერბახის „ქრისტიანობის არსი".

— პირველი გვერდების წაკითხვისთანავე შეეხტი სიხარულით. ძირს მასკარადის სამოსი!... ჩვენ თავისუფალი ხალხი ვართ და... რა საჭიროა, ჭეშმარიტება მითში გავახვიოთო.

ამის შემდეგ ა. ი. გერცენის ათეიზმი და მატერიალიზმი კიდევ უფრო განმტკიცდა.

მხურვალე რწმენა დემოკრატიისადმი, მოახლოებული რევოლუციისადმი, რომელსაც უნდა მოჰყვეს ყოველად მხსნელი გადატრიალება საზოგადოებრივ ურთიერთობაში, გაჰყვა უცხოეთში გერცენს. რაც უფრო დიდი იყო რწმენა, მით უფრო ძლიანჯველი გამოდგა იმედების გაცრუება. ძმობისა და თანასწორობის ნაცვლად პარიზის ბურჟუაზიის ქოფაკი—კავენიაკი მუშებს ტყვიით გაუძასპინძლდა. 1848 წლის რევოლუციის დამარცხებამ და ბურჟუაზიული წესწყობილების გამარჯვებამ გერცენში მძიმე სულიერი კრიზისი გამოიწვია. ბურჟუაზიული დემოკრატიზმის გაბაშვილებამ — ერთის მხრივ, ხალხი სენ-სიმონ-ფურიეს მოძღვრების უნიათობამ კაპიტალიზმთან ბრძოლაში — მეორე მხრივ, — დაუმსხვრია გერცენს ადამიანთა ურთიერთობის საოცნებო კოშკი. დაიღუპნენ საუკეთესო იმედები. გერცენმა ზურგი შეაქცია ევროპას და თავისი კრიტიკული აზრის მთელი ძლიერებით თავს დაესხა ბურჟუაზიულ საზოგადოებას, მის „რესპუბლიკას", „ლიბერალური კასტრატებს". მისი კრიტიკა აქ ულმობელი, მკვეთრი, საფუძვლიანი და ღრმა იყო.

მაგრამ, რაც უფრო მწვავდებოდა ბრძოლა ევროპული მეშჩანობის წინააღმდეგ, მით უფროო იკიდებდა ფეხს გერცენის სულიერ მდგომარეობაში ღრმა პესიმიზმი და სკეპტიციზმი. აქედან დაიწყო მისი სულიერი დრამა, რომლის მიზეზები გენიალურად გახსნა ვ. ი. ლენინმა:

„გერცენის სულიერი კრახი, მისი ღრმა სკეპტიციზმი და პესიმიზმი 1848 წლის შემდეგ იყო **ბურჟუაზიული ილუზიების** კრახი სოციალიზმში. გერცენის სულიერი დრამა შედეგი და ანარეკლი იყო იმ მსოფლიო ისტორიული ეპოქის, რომელსაც ბურჟუაზიული დემოკრატიის რევოლუციურობა **უკვე** კვდებოდა (ევროპაში), ხოლო სოციალისტური პროლეტარიატის რევოლუციურობა **ჯერ კიდევ** არ იყო მომწიფებული".

მიუხედავად დიდი სულიერი განსაცდელისა, ა. ი. გერცენს არ დაუკარგავს სოციალიზმის რწმენა. მას სწამდა, რომ სოციალიზმი მოახლოვებულია, მაგრამ მის შეგნებაში იგი მაინც გულუბრყვილო ოცნებად რჩებოდა და არა გარკვეულ პროგრამად.

მალე გერცენი მიხვდა, რომ დიდი რუსი ხალხია მოწოდებული იმისათვის, რათა დაამკვიდროს ქვეყნად სოციალიზმი და მოუტანოს თავისუფლება მთელს კაკობრიობას. გერცენი ქადაგებს, რომ რუსეთის განთავისუფლება თვითმპყრობელი მეფის კლანჭებისაგან აუცილებელია მსოფლიოს განთავისუფლებისათვის. მეშჩანურმა ევროპამ ღალატი სოციალიზმს, რუსეთმა კი მას გამარჯვება უნდა მოუპოვოს. და გერცენმაც იმედით მიაპყრო თვალი რუს გლეხს, რომელსაც, რასაკვირველია, არ შეეძლო მუშათა კლასის ხელმძღვანელობის გარეშე მოეტანა გამარჯვება სოციალიზმისათვის.

— რუსეთის მომავლის რწმენამ მიხსნა მე ზნეობრივი დაღუპვისაგან, — სწერდა გერცენი „პოლიარნაია ზვეზდაში". მართლაც ჯერ ამ ჟურნალში და შემდეგ „კოლოკოლში" ყოველი მისი წერილი გამსჭვალული იყო ამ რწმენით. ყვილგან გამოსჭვიოდა მისი პროგრესიული დემოკრატიული ჰუმანიზმი და ღრმა რწმენა რუსეთის დიადი მომავლისადმი.

„Vivos voco" („ცოცხლებს ვეძახი") — ასეთი დევიზი ჰქონდა წამძღვარებული „თავისუფალ რუსულ სიტყვას" — გერცენის „კოლოკოლს". მის გარშემო შემოკრებნენ მაშინდელი რუსეთის მოწინავე მოაზროვნენი. „კოლოკოლის" მუდმივი თანამშრომელი იყო ცნობილი ქართველი პუბლიცისტი და მწერალი ნიკო ნიკოლაძე. გაზეთი დიდი გავლენით სარგებლობდა არა მარტო რუსეთში, სადაც ის არალეგალურად ვრცელდებოდა, არამედ მთელს ევროპაში. ის მოითხოვდა გლეხების განთავისუფლებას მიწის მიცემით. ამ გაზეთის ფურცლებზე არაერთი მგზნებარე სტრიქონი მიუძღვნია გერცენს კერძო საკუთრების ინსტიტუტის კრიტიკისათვის, თემური წყობილების პროპაგანდისათვის. გაზეთში იბეჭდებოდა რუსეთის ბიუროკრატიზმის და თვითმპყრობელობის მამხილებელი წერილები და კორესპონდენციები.

„კოლოკოლის" ძახილს გამოეხმაურა რუსეთის მოწინავე ინტელიგენცია. გაზეთარდა რადიკალურად განწყობილ მკითხველთა რიცხვიც. მას შემდეგ, როცა ბაკუნინმა დაიწყო თანამშრომლობა გაზეთში ლიბერალიმკითხველები გერცენს შემოსწყრნენ. გერცენმა გასწყვიტა ლიბერალებთან კავშირი, მაგრამ მოსწყდა რადიკალურ ნაწილსაც, ჩამორჩა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას და მალე, 1867 წელს, „კოლოკოლმაც" შესწყვიტა არსებობა.

„მაგრამ მიიღა, გასწყვიტა რა კავშირი ბაკუნინთან, გერცენმა თვალი მიაპყრო არა ლიბერალიზმს, არამედ **ინტერნაციონალს.** ამ ინტერნაციონალს, რომელსაც მარქსი ხელმძღვანელობდა", — სწერდა ვ. ი. ლენინი წერილში „გერცენის ხსოვნას" და ბოლოს დასძენდა: „პროლეტარიატი მისი მაგალითით სწავლობს რევოლუციური თეორიის დიად მნიშვნელობას; — სწავლობს იმის გაგებას, რომ რევოლუციის თავდადებული ერთგულება და ხალხისადმი რევოლუციური ქადაგებით მიმართვა არ იკარგება მაშინაც კი, როდესაც მთელი ათეული წლებითაა დამორებული თესვა მოსავლიანაგან".

გერცენი თავისი ქვეყნის ჩამორჩენილობის გამო ვერ ავიდა მეცნიერულად სოციალიზმის ფილოსოფიურ სიმაღლეზე. არისტოკრატი ბუნებით, ის გაურბოდა ეკონომიური ურთიერთობის „წყალობ კითხვებს".

„კოლოკოლმა" თავისი ისტორიული მისია მაინც შეასრულა.

ა. ი. გერცენმა იცოდა, რომ მას სცვლიდნენ ახალგაზრდა მებრძოლები „მომავალი ქარიშხალისა", რომელთაც შესწევდათ უფარი ესწავლათ მის შეცდომებზე. ეს კიდევ უფრო უმტკიცებდა მას ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მომავლის რწმენას. არც მოტყუებულა! სულ 50 წელიც არ გასულა მისი გარდაცვალებიდან, რომ რუსეთის მუშათა კლასმა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციით განახორციელა ის იდეები, რაზედაც საუკუნეობით ოცნებობდნენ კაკობრიობის მოწინავე მოაზროვნენი და მათ შორის ა. ი. გერცენიც.

○

— შენ საშინლად დიდი ჭკუა გაქვს, იმდენად დიდი, რომ არ ვიცი, რათ სჭირდება ერთ კაცს ამდენი ჭკუა — ხშირად უთქვამს ა. ი. გერცენისათვის ბ. ბელინსკის.

გერცენის ლიტერატურული მემკვიდრეობა ამაზე განსაკუთრებული მჭერმეტყველებით ლაღადებს. გერცენი შესანიშნავი მხატვარი-პუბლიცისტია. გერცენის ლიტერატურული ფორმოადგენს მეცნიერებისა და ხელოვნების იშვიათ შერწყმას. კითხულობთ მის პუბლიცისტურ წერილებს და აღტაცებაში მოჰყიჭართ მის კოლისგანმჭვრეტ ჭკუას, შეუდარებელ ლიტერატურულ ნიჭიერებას, ენციკლოპედიურ განათლებას, მებრძოლ ტემპერამენტს, პოლიტიკურ სიმახვილეს და დიდ მეხსიერებას. როგორც მხატვარს, გერცენს მაღალ შეფასებას აძლევდნენ თავისი დიდი თანამედროვენი — ლევ ტოლსტოი და თ. დოსტოევსკი.

— „მისი ენა, — სწერდა ა. მ. გორკი, — განსაკუთრებული სილამაზისა და ბრწყინვალებისაა".

ჩვენი სამშობლოს მადლიერი ხალხი პატივისცემით აღნიშნავს შესანიშნავი მწერლისა და რევოლუციონერ-დემოკრატის ხსოვნას მისი გარდაცვალების 70 წლისთავზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანიის მუშები ფინელ თეთრგვარდიელების დახმარების წინააღმდეგ

კოპენჰაგენი, 16 იანვარი (საკ-დესი). ამ უკანასკნელ დღეებში დანიის პრესაში გამოქვეყნდა მთელი რიგი წერილები მუშებისა, რომლებიც პროტესტს აცხადებენ იმის წინააღმდეგ, რომ პროფკავშირთა ზოგიერთი ხელმძღვანელი თეთრფინელთათვის „დახმარების გაწევის“ საბაბით ჰქურდავს ორგანიზაციების სალაროებს. გაზეთი „არბაიდერბლადეტის“ ერთერთ უკანასკნელ ნომერში შავი მუშა სიგურდ ნილსენი სწერს: „არბაიდერბლადეტის“ კვირის ნომერში გამოქვეყნდა შავი მუშის ჰელმუტ ულსენის პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ შავ მუშათა კავშირის ხელმძღვანელობამ კავშირის ფულიდან უკანონოდ გადასცა თეთრფინელებს 40 ათასი კრონი. მე სავსებით ვეთანხმები ამ პროტესტს და ვეკითხები კავშირის ხელმძღვანელს: საიდან გაჩნდა სალაროში ასე უეცრად ეს ქარბი თანხა? ეს კავშირის წევრთა ფულია, მათი საწევრო შენატანია. ჩვენ ვიცით, თუ რა გაჭირვებით შეაგროვეს ეს ფული შავმა მუშებმა, რომლებიც სულ უმნიშვნელო ხელფასს იღებენ: მე პროტესტს ვაცხადებ იმის წინააღმდეგ, რომ დანიის მუშების ფული ხმარდება ომს, რომელიც ინგლისელი იმპერიალისტების ნება-სურვილით სწარმოებს. მარტო ის ფაქტი, რომ თეთრფინელებს სისხლისმსმელი მანერჰაიმი მეთაურობს, ბევრ რამეს მოწმობს. ვერავინ დამაჯერებს, რომ ფინელი ხალხის ეს ჯალათი და მისთანანი დემოკრატიისათვის იბრძოდნენ. როგორც დანიის სხვა მუშებიც, მეც უსაზღვროდ აღშფოთებული ვარ იმის გამო, რომ მუშებს ჰქურდავენ და „შეწირულებას“ უგზავნიან ამ თეთრგვარდიელთა ბანდას“.

ფინელ ლჯოლვილთა ნაამბობი

ოსლო, 16 იანვარი (საკდესი). სკანდინავიის პრესაში ყოველდღე ქვეყნდება ცნობები მანერჰაიმელთა ბანდების მიერ მშობლიური ადგილებიდან ძალად გაძევებულ ფინელ ლტოლვილთა განსაკუთრებული მძიმე მდგომარეობის შესახებ. ნორვეგიულ გაზეთ „არბაიდერენის“ კორესპონდენტი, რომელიც ჩრდილო ნორვეგიაში იმყოფება, სწერს: „მე უმთავრესად ვესაუბრე ხნიერ ადამიანებს, რომელნიც თეთრ ფინელთა სამხედრო ხროვას ძალად გამოუძევებია ფინეთიდან. ისინი აღშფოთებითა და გულისწყრომით ლაპარაკობენ მანერჰაიმის სისხლიანი დიქტატურის შესახებ, რომელმაც ისინი სამშობლოდან გააძევა. ლტოლვილნი ლაპარაკობენ, რომ სამხედრო ხელისუფლებამ დაუწვა მათ სახლები, ისინი კი ძალად გააძევა“.

„ამ ლტოლვილთ, — განაგრძობს კორესპონდენტი, — მხოლოდ ერთი სურვილი აქვთ, რაც შეიძლება მალე დაიმხოს მათთვის საძულველი თეთრფინელთა „მთავრობა“ და ხელისუფლება მთელ ფინეთში გადავიდეს საბალხო მთავრობის ხელში, რომელიც აღადგენს მშვიდობიანობას და მშრომელი ხალხის დემოკრატიულ უფლებებს. მაშინ წვრილი გლეხები და ტყის მუშები დაბრუნდებიან სამშობლოში და მემამულეთაგან განთავისუფლებულ მიწაზე ახალ, ბედნიერ და თავისუფალ ცხოვრებას დაიწყებენ“.

იაპონიის ახალი პრემიერის გამოსვლა

ტოკიო, 16 იანვარი (საკდესი). დომეი ცუსინის საგენტო იუწყება, რომ დღეს შესდგა ახალი კაბინეტის პირველი სხდომა, რომელზედაც მოწონებულ იქნა პრემიერ-მინისტრ იონაის განცხადების პროექტი.

სხდომის შემდეგ იონაიმ იაპონური გაზეთების კორესპონდენტებს განუცხადა, რომ „იაპონია მეტად სერიოზული მდგომარეობის წინაშე იმყოფება“. იონაიმ აღნიშნა, რომ „იაპონიის ძირითადი პოლიტიკა ჩინეთის საკითხში უკვე გამორკვეულია“ და სთქვა, რომ „ახალი კაბინეტი განაგრძობს ამ პოლიტიკას და ყოველ ზომებს მიიღებს, რათა ჩინეთში ახალი ცენტრალური მთავრობა შეიქმნას“. „მე განზრახული მაქვს, — სთქვა შემდეგ იონაიმ, — მოვაწესრიგო ურთიერთობა უცხო სახელმწიფოებთან ისე, რომ დავიცვა იაპონიის დამოუკიდებელი პოზიცია. საშინაო საქმეებში მიღებულ იქნება ზომები, რათა უფრო მტკიცე სამხედრო საფუძველი შეეუქმნათ იაპონიას, ხელი შეეწყოთ ნაციონალური რესურსების განვითარებას“.

იონაიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ყოველივე, რაც მისმა წინამორბედმა გააკეთა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, სწორი იყო“. ეს პოლიტიკა არ შეიცვლება. არ შეიცვლება აგრეთვე პოლიტიკა ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის მოწესრიგების საკითხში.

არიბას განცხადება

ტოკიო, 16 იანვარი (საკდესი). როგორც დომეი ცუსინის საგენტო იუწყება, 16 იანვარს იაპონიის საგარეო საქმეთა ახალმა მინისტრმა არიტამ შემდეგი განუცხადა კორესპონდენტებს: „ახალი კაბინეტი თავის საგარეო პოლიტიკაში ეცდება გადასწყვეტოს ჩინეთის პრობლემა და მოაგვაროს სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობა და ამავე დროს მტკიცედ დაიცვას დამოუკიდებელი პოზიცია“.

შემდეგ არიტა შეეხო საბჭოთა კავშირთან იაპონიის ურთიერთობას. არიტამ გაიხსენა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრად ყოფნის დროს იგი მონაწილეობას იღებდა ანტიკომინტერნული პაქტის დადებაში და სთქვა, რომ პოლიტიკა იაპონიის მთავრობისა, რომელიც ისწრაფვის მეგობრული ურთიერთობა იქონიოს საბჭოთა კავშირთან, სავსებით დამოუკიდებელია ანტიკომინტერნული პაქტისაგან. არიტამ განაცხადა, რომ იგი პირობას იძლევა ყოველი ღონე იხმაროს, რათა გადასწყვიტოს ორივე ქვეყანას შორის არსებული უმნიშვნელოვანესი საკითხები და მოახდინოს მათი ურთიერთობის ნორმალიზაცია.

პოლიტიკური პაჩვიები და იაპონიის ახალი კაბინეტი

ტოკიო, 16 იანვარი (საკდესი). გაზეთი „ნიკი-ნიკი“ იუწყება, რომ დღეს მინსეიტოს და სეიუკაის პარტიებმა თავიანთი წარმომადგენლების სხდომაზე გადასწყვიტეს პარლამენტის სესიის გახსნისას დაადგენენ მთავრობასთან თანამშრომლობის პოზიციას. ეს გადაწყვეტილება ეცნობა ახალ კაბინეტს.

ნორვეგიული გაზეთი ამხილებს ინგლისისა და საფრანგეთის ხრიკებს სკანდინავიაში

გერმანული გაზეთი „ნოიეს ვინერ ტაგბლატი“ იუწყება, რომ ნორვეგიული გაზეთი „ფლიტ ფოლკ“ სტატიაში, რომლის სათაურია „ინგლისის აჩრდილი ჩრდილოეთში“ სწერს: „ფინეთის ამბებს ოსტატურად და ცინიკურად იყენებს თავისი ინტერესებისათვის სახელმწიფოთა ჯგუფი ჩრდილოეთის ქვეყნების შიგნით მყოფი თავიანთი თანამზრახველების დახმარებით. ერთა ლიგას, რომელსაც იქედან საბჭოთა კავშირის გასვლის შემდეგ მხოლოდდამხოლოდ ორი მეომარი სახელმწიფო განაგებს, ხელოვნურად აცოცხლებენ, რათა ამ სახელმწიფოთა ინტერესებისათვის გამოიყენონ ერთა ლიგის წესდების ისეთი მუხლები, როგორიც არის სანქციების გამოცხადების, ჯარების გატარების, საზღვაო და საავიაციო ბაზების შექმნის უფლება. მეომარ სახელმწიფოთა ეს ჯგუფი ჩვენს ვაგლახ ხელმძღვანელებს იყენებს. ომში ჩრდილოეთის ქვეყნების ჩაბმისათვის ინგლისისა და საფრანგეთის მიერ წარმოებული პროპაგანდა ნათლად გვიჩვენებს, რომ ორივე დიდი სახელმწიფო ცდილობს, რათა საომარი მოქმედების თეატრად გადააქციოს ჩრდილოეთი ევროპა. ჩვენს ინტერესს შეადგენს შევინარჩუნოთ ნეიტრალიტეტი და არ დაკუშვათ ჩვენი ქვეყნის ჩაბმა ომში“.

16 იანვარი (საკდესი).

რეაქციის შეჯვეა შვეციის მშრომელთა წინააღმდეგ

სტოკჰოლმი, 16 იანვარი (საკდესი). შვეციის რეაქცია ფართო შეტევას ეწევა შვეციის მშრომელთა სოციალური უფლებების წინააღმდეგ. რეაქციული პრესა-გაზეთები „დაგენს ნიუჰეტერი“, „სვენსკა დაგბლადეტი“ და სხვები მოითხოვენ შეუწყვიტონ დახმარების მიცემა უმუშევრებს და შეჩერებულ იქნას საზოგადოებრივი სამუშაოები.

შვეციის მშრომელთა მდგომარეობა დღითი-დღე უარესდება. განსაკუთრებულ გაჭირვებას განიცდიან შვეციის ჯარისკაცთა ოჯახები. ეურნალ „არბეტარ კვინორნას ტიდნინგის“ კორესპონდენტი სწერს: „ჩვენ შევხვდით მოხუც ქალს, რომლის შვილიც არმიაში იმყოფება. იგი იძულებული იყო ქარხანაში მუშაობისათვის თავი დაენებებინა, და არავინ იცის, მიიღებს თუ არა სამუშაოს არმიიდან განთავისუფლების შემდეგ. ამ ჯარისკაცის დედა სულ უმნიშვნელო დახმარებას— დღეში 75 ერეს იღებს, მაგრამ ამ გროშების მისაღებადაც მან თვეობით უნდა იცადოს. დედას იმის საშუალებაც კი არ აქვს, რომ შვილს საფოსტო ქაღალდი და მარკა გაუგზავნოს“.

ხელისუფალთა განკარგულებით, შვეციის ჩრდილო რაიონებში სამუშაოდან მოხსნეს ტრანსპორტის მუშა - კომუნისტები. თანამდებობიდან ითხოვენ ჩრდილო შვეციის პროფკავშირულ ორგანიზაციებსა და მუნიციპალიტეტებში მომუშავე კომუნისტებსაც. ამ დღეებში შვეციის კომუნალური მუშების პროფკავშირის სოციალ-დემოკრატიულმა ხელმძღვანელობამ გადაწყვეტილება მიიღო პროფკავშირული ორგანიზაციებიდან მუშა-კომუნისტების გარიცხვის შესახებ. გაზეთ „დაგენს ნიუჰეტერის“ კორესპონდენტთან საუბარში კომუნალურ მუშათა პროფკავშირის თავმჯდომარემ განაცხადა: ამ ღონისძიებას მაინც ცოტა მნიშვნელობა ექნება, რადგან პროფკავშირის წევრებს შორის მრავალნი არიან, რომლებიც კომუნისტებს უთანაგრძნობენო.

სიძუოკაში ხანძარმა 6.500 სახლი გაანადგურა

ბერლინი, 16 იანვარი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო ტოკიოდან იუწყება, რომ სიძუოკაში მომხდარი დიდი ხანძარი, რომლის შესახებაც ცნობა უკვე გამოქვეყნებული იყო, 15 საათის შემდეგ იქნა ლიკვიდირებული. ცეცხლმა 6.500 სახლი გაანადგურა, 35 ათასი კაცი უსახლკაროდ დარჩა. ზარალის რაოდენობა ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული. მარტო საადზღვევო თანხა 25 მილიონ იენს აღწევს.

უკანასკნელი ცნობები

საფრანგეთის არტილერიის ჭურვები—ლუქსემბურგის ტერიტორიაზე

ბერლინი, 17 იანვარი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, რომ 14 იანვარს, ლუქსემბურგის საზღვრისპირა რაიონში, მენგენში დაეცა საფრანგეთის არტილერიის ჭურვები. როგორც ლუქსემბურგის გაზეთები იუწყებიან, 15 იანვარს, ნაშუადღევს, ამ რაიონს კვლავ ესროდა არტილერია. 16 საათსა და 30 წუთზე საფრანგეთის არტილერიამ დაუშინა პერლის ვაგზალს. ამასთან მრავალი ჭურვი ლუქსემბურგის ტერიტორიაზე დაეცა. ქალაქ შენგენში მთელ რიგ სახლებს ჭურვების ნამსხვრევები მოხვდა. მცხოვრებლები გარბიან ამ რაიონიდან.

გერმანიის ცნობა წყალქვეშა ნავების ჩაძირვის შესახებ

ბერლინი, 17 იანვარი (საკდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, გერმანიის სამხედრო-საზღვაო ძალების მიერ ჩაძირული ინგლისის წყალქვეშა ნავი „ანდინი“ ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ერთერთი უახლესი წყალქვეშა ნავი იყო, მისი ტონაჟი მერყეობდა 540-დან 760 ტონა წყალწყვამდე. ნავის შეიარაღება შესდგებოდა 6 სატორპედო აპარატისა და ერთი 7,6 სნმ. ყალიბის ქვემეხისაგან. ნავის სიგრძე იყო 56 მეტრი, განი — 4,9 მეტრი. ეკიპაჟი 40 კაცისაგან შესდგებოდა.

უგზოუკცლოდ დაკარგული წყალქვეშა ნავი „სტარფიში“ მწყობრში ჩადგა 1934 წელს. ეს წყალქვეშა ნავი ეკუთვნის ისეთი ნავების კლასს, რომელთა წყალწყვა 640-დან 955 ტონამდე ითვლება, და შეიარაღებული იყო ისე, როგორც წყალქვეშა ნავი „ანდინი“.

სულ ინგლისის წყალქვეშა ფლოტმა უკვე დაკარგა 4 წყალქვეშა ნავი. 15 სექტემბერს დაიღუპა ინგლისის პირველი დიდი წყალქვეშა ნავი „ოქსლეი“ 1.500 ტონა წყალწყვისა. ინგლისის მეორე წყალქვეშა ნავი ჩაძირულია 29 სექტემბერს. კიდევ ერთი წყალქვეშა ნავი ძლიერ დაზიანდა ოქტომბერში, მაგრამ მოხერხდა ბუქსირით მისი მიყვანა ნავსადგურში.

ამხანაგი სტალინი ახალგაზრდებს შორის აფხაზეთში

მხატვ. ე. ახვლედიანის ნახატი

როგორ ვმუშაობდით გამოფენისათვის

„ბელადი დედასთან“

როცა ამ თემის („ბელადი დედასთან“) განხორციელებას მოვკიდე ხელი, ძმვენივრად გვრძნობდი იმ დიდ პასუხისმგებლობას, რომელსაც ჯისრულობდი. მე უხდა მომეცა მოწინავე კაცობრიობის ამ ბუმბერაზი წარმომადგენლის, დიდბუნებოვანი ადამიანის დიდი სტალინის უზაზესი ადამიანური გრძნობის—მოხუცი დედისადმი სიყვარულის გამოხატვა. ამავე დროს მინდოდა აღმენიშნა მშრომელი ხალხის ის სიყვარული, რომლითაც გარეშოცული იყო ბელადის დედა. ამისათვის გადავწყვიტე, როგორც სიმბოლო ქართველი ხალხის სიყვარულისა სურათზე წარმომედგინა ჩვენი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ ლავრენტი ბერიას ფიგურა.

მე შევეცადე ყველაფერი ეს გამეკეთებინა და მხატვრულ ტილოზე აღმენიშნა ის დიდი და დაუვიწყარი ფაქტი, რომ 1935 წელს დიდმა სტალინმა, დიადი საბჭოთა ქვეყნის მესაჭემ, გამონახა დრო იმისათვის, რომ ჩამოსულიყო და ენახა მოხუცი დედა.

თამარ აბაკელია

„სტალინის გამოსვლა ლიბერალების წინააღმდეგ 1905 წელს, თბილისში“

„საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლისას დამებადა იდეა,—მხატვრულ ტილოზე ამესახა ერთერთი ეპიზოდი დიდი ბელადის, ამხანაგ **სტალინის** ბრძოლისა ლიბერალებთან. ამ ბრძოლის შესახებ მრავალი მასალა მივიღე ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალში. ამ მასალების შესწავლისას გავეცანი სწორედ იმ ეპიზოდს, რომელიც შემდგომში გადაიქცა ჩემს მიერ გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრის თემად. ლიბერალებთან ამხანაგ სტალინის ამ შებრძოლების მაშინდელმა მონაწილეებმა გადაწმეცეს იმ კრების შესახებ, რომელიც 1905 წელს გამართულა და რომელზეც, ამხანაგი სტალინი გამოსულა სიტყვით.

ამ სურათზე დიდხანს არ მიმუშავია და ახლა, როცა მას ვნახულობ, გულს მაკლია, რომ არ მქონდა მეტი დრო მასზე მუშაობისა. მაინც კმაყოფილებას განვიცდი. მინდოდა ამ მომენტის, ე. ი. ლიბერალებთან სტალინის ბრძოლის ერთერთი ეპიზოდის აღნიშვნა მხატვრულ ტილოზე, თუ როგორ შეესრულე ეს, ამას სხვები იტყვიან.

ივ. ვეფხვაძე

„სტალინის დაკითხვა ბათუმის ციხეში“

წელიწადზე მეტი ხანი მქონდა მოფიქრებული. ეს თემა — „სტალინის დაკითხვა ბათუმის ციხეში“. ბევრს ვფიქრობდი ამ თემის მხატვრულ ტილოზე გადატანასას უფრო შესაფერი კომპოზიციების, თემის უფრო ეფექტურად განხორციელების შესახებ. ამ სურათზე მუშაობის იდეა მომცა მხატვრობის ერთერთი მოყვარულის პრიმიტიულად შესრულებულმა ნახატმა ამავე თემაზე.

როცა სურათის წერას შევუდექი, ჩემი მიზანი იყო მომეცა თვითმპყრობელობის სიდუხჭირის სიმბოლიური დასასიათება. ერთის მხრივ უდრეკი ნებისყოფის რევოლუციონერი, ბელადი მუშათა კლასისა, თვითმპყრობელობასთან დატოლავად მებრძოლი და მეორეს მხრივ უანდარმი, ბნელი ძალის წარმომადგენელი, ამ ორი მოპირდაპირე სახის მოცემა ერთ მხატვრულ ტილოზე მოითხოვდა სურათის კომპოზიციური პრობლემის სათანადოდ გადაჭრას. შევძელი თუ არა ეს, ამას პირუთვნელი მნახველი იტყვის.

მე კი, უკვე ავღნიშნო, რომ საშუალება რომ მქონდეს, კვლავ სიამოვნებით განვაგრძობდი ამ სურათზე მუშაობას.

სამსონ ნადარეიშვილი

მოხსენება გ. ერისთავის თეატრზე

19 იანვარს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს თეატრალური მუზეუმის საგამოფენო დარბაზში შესდგება მუზეუმის სახმოსაბჭოს ღია სხდომა, მიძღვნილი გიორგი ერისთავის თეატრის 90 წლისთავისადმი. სხდომაზე მუზეუმის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი ს. გერსამია გააკეთებს მოხსენებას თემაზე: „გიორგი ერისთავის თეატრი“. დასწრება თავისუფალია.

ამხანაგი სტალინი ბავშვობისას

მხატვ. დ. ვოლგინის ნახატი

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას სახელობის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 1262436, გაცემული აშხენ გრიგოლის-ასული მარტოიანის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

19 იანვარს, საღამოს 8 საათზე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში შეხდება ამხ. ფრუიძის ლექცია ქართულ ენაზე: „ლენინური მოძღვრება ოვისა, ზავისა და რევოლუციის შესახებ“.

ღღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: სახოპერა — „აიდა“ (ტალ. № 95 და 4 აბ. 7 წარმ.), **რუსთაველის** სახელობის — „გუშინდელნი“ (ტალ. № 94), **მარჯანიშვილის** სახელობის — „ჩატეხილი ხიდი“.

კინოებში: რუსთაველის სახ. — „პატრიოტი“, **ოქტომბერი** — „ინჟინერ კოჩინის შეცდომა“, **დამკვრელი** — „უმაღლესი ჯილდო“, **კომკავშირელი** — „ტრაქტორისტები“, **სპარტაკი** — „მფრინავები“, **ლუქსემბურგის** სახ. — „ინჟინერ კოჩინის შეცდომა“, **26 კომ.** სახ. — „ჩაპაევი“, **კომინტერნი** — „ტრაქტორისტები“.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე პ. რატიანი

მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრი

1939—40 წ. სეზონი.

18 იანვარს	20 იანვარს	21 იანვარს
ჩაბეხილი ხიდი	**ჩაბეხილი ხიდი**	**ნაპერწკლიდან**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

18 იანვარს დღის წარმ. **კოლმეურნის ქორწინება** დასაწყ. დღის 12 ს.

სახელმწიფო თეატრი

1939-40 წ. სეზონი.

18 იანვარს	20 იანვარს	22 იანვარს
მუდმ. ადგ. ტალ. № 94 **გუშინდელნი**	მუდმ. ადგ. ტალ. № 95 **თოფიანი ქაცი**	მუდმ. ადგ. ტალონი № 96 **თოფიანი ქაცი**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

სახელტრადის საზამთრო თეატრი

პლეხანოვის პროსპექტი, № 123. ტელ. 3-66-01.

18 იანვარს	19 იანვარს ესტრადის მსახიობთა ხაკავშირო კონკურსის ლაურეატის
სახელტრადის ვოდევილების თეატრის წარმოდგენა **საუზმის ბრალი** ვოდ. 3 მოქმ. თარგმ. ლოლაძის და ტყაბლაძისა. დადგმა შ. მანაგაძისა.	**ოლღა ლოლიძის საღამო** მონაწილეობენ: რუსპ. დამს. არტ. ორდენოსანი თამარ ჭავჭავაძე, რუსპ. დამს. არტ. პიერ კობახიძე, ევგენია ფეოდოროვა, ჩიკვილაძე, გიორგობიანი, მიხეილ მიქელაძე, კონფერანსიე: პ. კობახიძე. როიალის პარტიას შეასრულებს კომპოზ. ვ. შავერზაშვილი.

დასაწყისი საღ. 9 საათზე. ბილეთები იყიდება დღის 11 ს-დან 3 ს-მდე, საღ. 6 ს-დან 10 ს-მდე. 200

ამიერ-კავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის სამმართველო

აცხადებს კლიენტურის საყურადღებოდ, რომ სსრკ სახკომსაბჭოს 1936 წლის 25/II № 362 დადგენილების საფუძველზე

მეგზანალებისა და ნაკლანალების

ანგარიშსწორებისათვის ამიერ-კავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის მთავარი ბუღალტერიის შემოსავლის აღრიცხვის სექტორში (თბილისი, ჩელუსკინელთა ქ. № 15, ოთახი № 363)

საჭიროა წარდგენილ იქნას შემდეგი ცნობები:

ა) კლიენტის სრული და შემოკლებული დასახელება;
ბ) ადგილსამყოფელი და დაწვრილებითი მისამართი;
გ) საანგარიშსწორებო ანგარიშის № და რომელ ბანკშია;
დ) იმ სამეურნეო ერთეულების სრული სია, რომლებიც შედიან ორგანიზაციის შემადგენლობაში ა, ბ და გ მუხლების მიხედვით ცნობების აღნიშვნით.

504 5—3 **რკინიგზის სამმართველო.**

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

1938-40 წ. სეზონი.

18/I	მუდმ. ადგ. ტალ. № 95 4 აბ. 7 წარმ. **აიდა** ფ. მუხტაროვას მონაწილეობით.	
20/I	მუდმ. ადგ. ტალ. № 96 3 აბ. 7 წარმ. **ბახჩისარაის შადრევანი**	
21/I	მუდმ. ადგ. ტალ. № 97 **დაისი**	

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

ქეთო დარასველიძის გარდაცვალებას. გამოსვენება 18/I 2 ს. შინდისის მესამე ჩიხი, 3. ვაკის სასაფლაოზე. 4664

ა. კ. ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის თბილისის განყოფილების მუშა-მოსამსახურეები მწუხარებით იუწყებიან ამავე განყოფილების ძველი მუშაკის **სამსონ ქაიხოსროს-ძე ტომარაძის** გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი 20 იანვარს, 7 საათზე. საბჭოს ქ. № 143-ა.

სამედიცინო ინსტიტუტის ფ. კ. კათედრის თანამშრომლები გ. მღებრიშვილი, ვ. ჯაველიძე, ა. გაფრინდაშვილი, შ. ბურთიკაშვილი ბ. ჯაფარიძე, ა. კაპანაძე, ნ. დოლიძე, მ. გომელაური, გ. ტორონიძე, ა. კაციტაძე, ა. მეადანაძე იუწყებიან კათედრის მასწავლებელ შალვა კაკაურიძის **დამის ნიკოლოზის** გარდაცვალებას. 4658

ცოლი ნინო, შვილები ვანო, ვენერა, პავლიაშვილები, და ტასო დონგუზაშვილი შვილებით, რძალი თამარ ვანიშვილი, ნათესავები ოლა, ლუბა, გოგია კობახიძეები იუწყებიან **გიორგი ივანეს-ძე პავლიაშვილის** გარდაცვალებას. 4659

შვილები გრიშა, ვისილა, ქსენია, რძლები ქსენია, ვარდო, შვილიშვილები დურმიშხან, ნუნუ ციხაძეები, სიძეები ე. ჩიჩუა, ბ. წილოსანი შვილებით იუწყებიან **გიორგი ზურაბის-ძე ციხაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 20/I ქ. ლახჩუთში. 4661

დები მარიამ წინამძღვარიშვილისა, ოლღა; ძმები მიხეილ, დიმიტრი, რძალი ბაბილინა არჯევანიძეები იუწყებიან **ესაყვარლესი გიორგი პავლეს-ძე არჯევანიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 18/I 7 ს. გამოსვენება 19/I 4½ ს. ფურცელიძის, 9 კუკიის სასაფლაოზე. 4662

შალვა, თამარ, ომარ დარახველიძეები, ნინო, ისაკი მილორავები შვილებით იუწყებიან ძვირფასი დის და მამიდის **ქეთო დარასველიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 18/I 2 ს. შინდისის მესამე ჩიხი, 3. ვაკის სასაფლაოზე. 4664

შვილები ბოლინე, გიორგი, ცოლი მარგარიტა, რძლები ვენერა, გუგული, ძმები ზაქრო, ეორეიკ, შალვა, და ფაცია, ძმისწულები მამალაძეები იუწყებიან **ალექსანდრე (ნიკიტა) გიორგის-ძე მამალაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 20/I 4 ს. კლარა ცეტკინის, 17. 4667

თებრონე, ლავროსი, ნადია მამალაძეები, კატუშა, მირიან, ნოდარ კაკურიები იუწყებიან ძვირფასი ბიძაშვილის, ყაზბეგის რაიპროკურორის **ალექსანდრე (ნიკიტა) გიორგის-ძე მამალაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 19/I 7 ს. კლარა ცეტკინის, 17. 4668

და ეფროსინე, რძალი კეკელა შვილებით, რძლებით და სიძეებით იუწყებიან ძვირფას **ზენო ნიკოლოზის-ასულ ბიბინაძე-ჯაფარიძის** გარდაცვალებას. 4654

საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს სპეციფიერო სექტორის თანამშრომლები იუწყებიან ინჟინერ **კონსტანტინე ირაკლის-ძე ჯაფარიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 18/I 12 ს. ბაზალეთის, 3. 4656

შვილები მარგასია, თამარ, სიძე ივანე სურგულაძე, შვილიშვილები ჯუკური, ეთერ იუწყებიან **ვარდიკო ვახტანგის-ასულ შარაშიძე-ფითლიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19/I 7 ს. ტატიანას ქ., 5 გამოსვენება 20/I 4 ს. ვერის ძველ სასაფლაოზე. 4657

„საქზაგოტზერნოს“, „ზაგოტსენოს“ და საფქვავი მრეწველობის მუშაკთა კავშირის საქართველოს თანამშრომლები იუწყებიან შალვა დარახველიძის დის **ძეთოს** გარდაცვალებას. 4665

შვილი ვანო, რძალი ვერა და შვილიშვილი თამბეგი იუწყებიან, რომ 22/I, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანშნულია საყვარელ **ჯახან დედუჩავას** სამოქალაქო პანაშვიდი. 4663

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩ. № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—94, წერილებისა—3—73—24, პ.-მგ მორიგის და გამომშვებისა—3—81—65, გამომცემლობისა—3—51—81, სტამბის დირექტორისა—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. მთავლიტის რწმუნებული—№ 708

ფინანსური

საქ. სარეწაო საბჭოს სისტემაში შემავალ არტელ „სარეწაო წარმოებას“

დასკვნითი ბალანსი 1939 წლის 1 იანვრისათვის

აქტივი

№ № რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა
1	ძირითადი საშუალებანი	21351
2	ნედლეული და მასალა	74870
3	წარმოება და გადამუშავება	5353
4	პროდუქცია და საქონელი	29669
5	მცირეფასიანი და სწრაფსაცვეთი ინვენტარი	28937
6	ფულადი საშუალებები	65379
7	საშუალებანი ანგარიშსწორებაში	52320
8	ხარჯები სპეციფონდების ანგარიშში	754
9	განყენებული საშუალებები	56321
	ბალანსი	334954

პასივი

№ № რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა
1	ფონდები	93006
2	მიზნობრივი რეზერვები	30240
3	რეგულირებული მუხლები	8513
4	ანგარიშსწორება	90871
5	მოგება	112324
	ბალანსი	334954

მოგებისა და ზარალის ანგარიში

№ № რიგ.	ხარჯები და ზარალი	თანხა
1	სხვადასხვა ხარჯები და ზარალი	16278
	სულ	16278
	მოგება	112324
	ბალანსი	128602

№ № რიგ.	შემოსავალი და საერთო მოგება	თანხა
1	შემოსავალი რეალიზაციით	123947
2	სხვადასხვა შემოსავალი	4655
	სულ	128602
	ზარალი	—
	ბალანსი	128602

ბალანსი დამტკიცებულია საბალანსო კომისიის მიერ 1939 წ. 23/I, № 5.

გამგეობის თავმჯდომარე **ჰ. ლუდუშაური.** მთ. ბუღალტერი **გ. შარაშიძე.** 1087